სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 22 ივლისი 1994 № 41 (116) ფასი 90 000 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

19 ივლისი. საქართველო — მალტა 1:1

7 სექტემბერი. საქართველო — მოლდოვა ?

ოთხშაბათს შენევის «ნოგა ჰილტონ ოტელში» გამართულმა წილისყრამ თბილისის «დინამოს» უეფას თასის შესარჩევ წრეში მეტოქედ რუმინეთის «უნივერსიტატია» არგუნა. პირველი მატჩი 9 აგვისტოს თბილისში გაიმართება

ევროტურნირების წილისყრის შედეგები — მეოთხე გვერდზე

WorldCup USA 94

ფინალური მატჩის მონაწილენი, რომარიო და რობერტო ბაჯო აღიარეს მსოფლიოს ჩ[illegible]ონატის პირველ და მეორე მოთამაშეებად. ბრაზი[illegible]ელმა 2400 ქულა დააგროვა, იტალიელმა – 1500. მესამე ადგილზე 1400 ქულით ბულგარელი ბომბარდირი ხრისტო სტოიჩკოვი გავიდა

მორიგი „სარბიელი“ გამოვა 2 აგვის[illegible]

ფრე მალტის სასარგებლოდ

საქართველო 1:1 მალტა

ამხანაგური მატჩი
19 ივლისი, თბილისი
ეროვნული სტადიონი

საქართველო: ზოიძე, რევაზიშვილი, ნემსაძე, შელია, გ. ჯიშკარიანი, რ. არველაძე, ინანიშვილი (ყავლაშვილი 46), ჯამარაული, ტუღუში (ა. არველაძე 46), ქინქლაძე, შ. არველაძე

მალტა: კლუეტი, ველა, ბუპაჯირი (ე. კამილერი 85), გალეა, ჯ. კამილერი, ბუტიგეგი, კ. ბუზუტილი, სალიბა, კარაბოტი, ლაფერლა, სპიტერი (ა. ბუზუტილი 55, სუდა 76)

0:1 სპიტერი (33)
1:1 შ. არველაძე (37 პ)

გაფრთხილება: ნემსაძე (32), ჯ. კამილერი (34), ჯამარაული (44)

მსაჯები: ურს მაიერი, ერნესტ ფელდერი, გვიდო კოდონი (შვეიცარია)

რიგით მეცამეტე საერთაშორისო ამხანაგური მატჩი, პირველ ოფიციალურამდე 50 დღით ადრე რომ გაიმართა, უიღბლო გამოდგა საქართველოს ეროვნული გუნდისთვის, ჩვენებმა ვერაფერი მოუხერხეს მალტელთა დაცვით ტაქტიკას — ბურთის კოლექტიურ არიმეკას, კონტრშეტევაზე თამაშს და მეტოქის „დახრჩობას" მინდვრის შუაგულში. როცა დასჭირდებოდათ, მალტელები არც პატარ-პატარა საფეხბურთო ეშმაკობებს ივიწყებდნენ ტემპის დასაგდებად, რადგან საკმარისი იყო ჩვენებს ოდნავ მოემატებინათ სისწრაფეში, რომ უმალ სახიფათო მომენტი იქმნებოდა მეტოქის კართან. თუ მალტის ნაკრები მაღალი სათამაშო დისციპლინით გამოირჩეოდა და საერთაშორისო მატჩებში გამოცდილი გუნდის შთაბეჭდილებას სტოვებდა, საქართველოს ნაკრები — პირიქით, შეუთამაშებელი და დაბალი დისციპლინის გუნდად ჩანდა, რომლის მთავარი კოზირი მოთამაშეთა ინდივიდუალური ოსტატობა იყო და ფაქტიურად არ ყოფილა მომენტი, რომ საქართველოს ნაკრებს შეკრული გუნდის შთაბეჭდილება დაეტოვებინა. ეს მით უფრო საწყენია, რომ საუბარია მალტის ნაკრებზე, ქვეყნისა, რომლის მოსახლეობაც და ტერიტორიაც ბევრით არ აღემატება ჯაკე-საბურთალოსას. თანაც შურის გრძნობაც მღრღნიდა, მალტელებმა ხომ სამი ღღის წინ ხომხებთან 0:1 წაგეს და მაინდამაინც ჩვენ გაგვიტანეს გოლი და ჩვენთან აიღეს ქულა. ეს კი არაფერსაც არ ეტყველებს საქართველოს ეროვნული ნაკრების ძალიერეზე, თუნდაც კავკასიის მასშტაბით. თუ ვინმე შემომედავება, მალტა საგრძნობლად გაძლიერდა და თვით სამსოფლიოჩემპიონატზე გამზადებულ ბელგიას მოუგო, მე ვეტყვი, რომ მოლდოვამ ამერიკაში შტატების ნაკრებთან ფრეს მიაღწია, ბულგარეთი და გერმანია სუპერგუნდები არიან, უელსს რაში, პიუზი და გიგზი ჰყავს, და ალბანეთმაც თამაში ისწავლა-მეთქი. ჩვენ ჩვენი ქვა გავქვს თავში საცემი. რადგან თვენახევარში პირველი ოფიციალური მატჩი გველის, ნაკრების თამაში კი კვლავ კრიტიკას იმსახურებს. ლამეების თეთრად თენებაა საჭირო და თავდაუზოგავი ვარჯიში, რათა გერმანიას და ბულგარეთს ვინ ჩივის, მოლდოვასთან და ალბანეთთან არ შევრცხვეთ... შინ.

ახლა უშუალოდ მატჩზე. მსაჯის სასტვენი და წვიმის დაწყება ერთი იყო. მეტოქე ფაქტიურად შემდეგი ტაქტიკური გეგმით თამაშობდა 1-9-1. წინ წაწეული ერთადერთ მალტელ ლეგიონერს კამილ ბუზუტილს შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ ლაფერლა და დანარჩენი ნახევარმცველები. ჩვენებმაც ერთი თავდასხმელით დაიწყეს, შოთას ზურგს ზუთი ნახევარმცველი უმაგრებდა. პირველი სახიფთო მომენტი ჩვენებმა მატჩის მეთითხმეტე წუთზე შექმნეს, როცა ინანიშვილის პასს შოთა არველაძე ვერ მისწვდა, სამოდ წუთში კედელი გაითამაშეს: რეზომ ქინქლაძეს მიაწოდა, ამან შოთას, რომელიც კვლავ ვერ მისწვდა ბურთს. ოცდამეხუთე წუთზე ქინქლაძის ლამაზი დრიბლინგი და შოთას მწკავე პასი იყო აღსანიშნავი, მალე შოთას დრიბლინგის შემდეგ ქინქლაძემ ჩაწოდა მარცხნიდან საჯარიმოში, იქ კი არავინ აღმოჩნდა. ოცდამეთე წუთზე ჯამარაულის ჩამოწოდებული ბურთი შოთამ თავით დაარტყა კარში და ოდნავ აცილა მარცხენა ძელს. ამ მომენტის შემდეგ მალტელებმა კონტრშეტევა განახორციელეს, ნემსაძემ სალიბა წაიქცია საჯარიმოს სიახლოვეს და ყვითელი ბარათიც დაიმსახურა. ჯარიმა სპიტერმა დარტყა და ბურთი რიკოშეტით საქართველოს ნაკრების კარში აღმოჩნდა. გაშვებული გოლის შემდეგ ჩვენებმა შეუტიეს და საჯარიმოში შესული შოთა ჯონ კამილერმა მოცელა. პენალტი თავად შოთამ დარტყა და ანგარიში გაათანაბრა. ტაიმის მიწურულს ზოიძემ სპიტერის თაური მოიგერია.

შესვენებაზე ჩავიძემ არჩილი და ყველაშვილი გამოიყვანა, რომელთაც გაამწვავეს თამაში. არჩილის წამოწყებული პირველივე შეტევა რეზომ გაგრძელა და შოთას დარტყმა კვლავ ასცდა. მალე მალტელებმაც ხელი გამოიღეს და საკმაოდ მწკავე კონტრშეტევებს მიმართავდნენ. რამდენჯერმე კი მსაჯმა აშკარად დაინდო მალტელები, რომლებიც ქინქლაძესა და ყველაშვილს ხან მაისურზე ეჭაჭებოდნენ, ხანაც ტრუსებზე, თავდასხმელთა დასახმარებლად წამოსულმა შელიამ რამდენჯერმე ძლიერად დარტყა შორიდან, მაგრამ ამაოდ. ერთ მომენტში შოთამ დარტყმის მაგვარად მცველთა მოტყუება მოინდომა და ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. ყველაზე სახიფათო მომენტი მალტელთა კართან კი სამოცდამეცამეტე წუთზე შეიქმნა, როდესაც ჯამარაული წაქციეს საჯარიმოს სიახლოვეს და ქინქლაძის ძლიერი დარტყმა უხერხულად მოიგერია კლუეტმა, ბურთთან ყველაზე სწრაფად ყველაშვილი გაჩნდა, მაგრამ მეკარემ იმარჯვა. მატჩის მიწურულს კი მალტელები გააქტიურდნენ და ზედიზედ სამი სახიფათო მომენტი შექმნეს ჩვენს კართან, მაგრამ ზოიძემ იგაჟკაცა და საქართველოს ნაკრები სირცხვილს გადაარჩინა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მალტელთა მთავარი მწვრთნელი პიეტრო კედინი გახარებული ჩანდა. გთავაზობთ მის პასუხებს ჩემი კოლეგების შეკითხვებზე.

— ძალიან მომეწონა თქვენი გუნდი, განსაკუთრებით მეკარე, 10, 8 და 6 ნომრები (ზოიძე, ქინქლაძე, ჯამარაული, რეზო არველაძე). თავიდან ძალიან ვნერვიულობდი, ვიცოდი საკმაოდ ძლიერ გუნდთან გვქონდა საქმე, მაგრამ წაგვივიდა თამაში და ბოლოს მოგების შანსიც კი გაგვიჩნდა. საქართველოს ნაკრებთან მატჩი საკმაოდ კარგი სკოლა იყო ჩვენთვის — სომხეთისა და საქართველოს ნაკრებების შედარებაც არ შეიძლება, თქვენი გუნდი აშკარად მაღლა დგას, სომხებმა ძირითადად ენთუზიაზმის ხარჯზე მოგვიგეს.

— რაც შეეხება თქვენს შესარჩევ ჯგუფს, გერმანია, უელსი და ბულგარეთი ფავორიტები არიან, საქართველოს გუნდს კი, რომელიც აუტსაიდერია, შეუძლია ყველას სიურპრიზი შესთავაზოს.

— თბილისმა ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, სტუმართმოყვარე და ლამაზი ქალაქია, მე რომ ვიყო უეფას წარმომადგენელი, უყოყმანოდ დავრთავდი ნებას საქართველოს ნაკრებს, რომ საშინაო მატჩები თბილისში ჩაატაროს.

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრე ჩიკაძე:**

— წარმატებას რომ მიაღწიო, გუნდი კარგ ფორმაში უნდა გყავდეს. ჩვენ შორს ვართ კარგი ფორმისგან.

— ნაკრების ბირთვი თბილისის „დინამოა", თუმცა ჩვენი კარი ყველასთვის ღიაა. კლუბების მომზადების გეგმაში ვერ ვერევით და კლუბებზე ვართ მინდობილნი, რადგან მოლდოვასთან თამაშამდე საკონტროლო მატჩი აღარ გვექნება და მხოლოდ ათ-თერთმეტდღიან შეკრებას მოვაწყობთ.

— ლეგიონერებთან მჭიდრო კავშირი გვაქვს და ამ თამაშზე მათი არმოწყვეა მათივე გეგმებიდან მომდინარეობს, ისინი ხომ კლუბებში მომზადებას იწყებენ. ყველა მათგანის იმედი გვაქვს შესარჩევ ციკლში.

— ლიბერის პოსტზე ცხადაძის, შელიას და გიჩა გუჯაბიძის კანდიდატურებია, ამ უკანასკნელმა ახლახან დაიწყო ვარჯიში და იმედია მალე ფორმაშიც ჩადგება. სასიხარულოა, რომ გელა კეტაშვილმაც დაიწყო ვარჯიში და თუ ჩვეულ ფორმას აღიდგენს, ნაკრებს დიდ სამსახურს გაუწევს.

...ეს რაც შეეხებოდა მატჩის სანახაობრივ მხარეს. მეორე, ჩვენთვის არანაკლები მნიშვნელობის მხარეზეც ვთქვათ. ჭალაქის მერიამ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ყველაფერი იღონეს, რათა მატჩი უმაღლეს დონეზე ჩატარებულიყო. მატჩის არბიტრს რომ ევროპაში ფორმა დაეკარგა და თამაზ ლაცაბიძის სამოსით მსაჯობდა, ეგ უკვე ჩვენი ბრალი აღარ არის...

მამუკა კვარაცხელია

წვიმით კმაყოფილი კაცი

— რას იტყვით საქართველოს ნაკრებზე?

— ქართულ ფეხბურთზე ბევრი მსმენია და ამიტომაც ვარ დღეს აქ. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრები კარგი გუნდია, თუმცა ფეხბურთელების ტექნიკური მომზადება დიდად აღემატება ტაქტიკურს. დღევანდელ შეხვედრაში კი თქვენ 6 ნომერს, რეზო არველაძეს გამოვყოფ.

— როგორც მწვრთნელი, დარწმუნებული ვარ, ამ კითხვაზე პასუხს თავს აარიდებთ, ამიტომ ასე გკითხავთ: თქვენ რომ უბრალო გულშემატკივარი იყოთ, საქართველო-უელსის მატჩებზე რომელ გუნდზე დადებდით სანაძლეოს?

— უელსის ნაკრები კარგი გუნდია, მართლაც კარგი. ამას იმიტომ როდი ვამბობ, რომ მე მისი მწვრთნელი ვარ. ამიტომაც ვთვლი, რომ უელსი მოიგებს, თუმცა თქვენი ნაკრები ნაღდად არაა ასეთი გუნდი, მის წინააღმდეგ უეჭველი სანაძლეო რომ დასდო.

— ვინ არის ჩვენი ჯგუფის ფავორიტი — გერმანია თუ ბულგარეთი? ან იქნებ უელსი?

— მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამომდინარე ამის თქმა ძნელია. მართალია, გერმანიის ნაკრებმა ფიასკო განიცადა, მაგრამ ამით ჩვენი შანსები ერთი პროცენტითაც კი არ გაზრდილა. ახლა გერმანიის გუნდში კარდინალური ცვლილებები მოხდება, მოვლენ ახალგაზრდა ფეხბურთელები და საერთოდ, გერმანია ისე არასდროს დაეცემა, შესარჩევი ჯგუფის ფავორიტად რომ აღარ ჩავთვალოთ. აი, ბულგარეთის ნაკრების შემდგომი თამაში კი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ფსიქოლოგიურად როგორ მოინელებენ ბულგარელები ამერიკაში მიღწეულს — პირველ და ბოლო მატჩებს თუ არ ჩავთვლით, მათ იქ ფანდასტიური თამაში აჩვენეს. უელსი, როგორც ვითხარით, კარგი გუნდია. თქვენებსაც აქვთ გარკვეული შანსები. თუმცა რატომ მხოლოდ ეს ოთხი გუნდი? დარწმუნებული ვარ, მოლდოვა და განსაკუთრებით ალბანეთი ბევრ სიურპრიზს შემოგთავაზებენ.

— თქვენ თქვით, რომ გერმანიამ ფიასკო განიცადა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ყველაზე სუსტი მწვრთნელი ბერტი ფოგთსი იყო?

— არა. გერმანია იმ ფეხბურთელებით მეტს ვერარ შეძლებდა. ფოგთსის შეცდომა კი ის იყო, რომ სწორედ მათზე გააკეთა აქცენტი.

— გერმანიის დამარცხების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გადაბერებული ფეხბურთელების სიჭარბე მგონია. თქვენს ნაკრებშიც დღემდე თამაშობენ რაში, ჰიუზი. ხომ არ აპირებთ გუნდში კარდინალური ცვლილებების მოხდენას?

— არავითარ შემთხვევაში. ძირფესვიანი ცვლილებების მომხრე ჩემი წინამორბედი ჯონ ტოშაკი იყო, მე კი სხვა გზით მივდივარ. ჩვენს განკარგულებაში 30-მდე ფეხბურთელია და სწორედ მათგან შეირჩევა ნაკრების ძირითადი ბირთვი. რაც შეეხება ვეტერანებს, დამეთანხმებით, რომ რაშისა და ჰიუზის გამოცდილება ისეთი რამაა, უარს ნამდვილად, რომ ვერ იტყვი.

— 7 სექტემბერს საქართველო მოლდოვას ხვდება, თქვენ კი ალბანეთს მასპინძლობთ. დაგეგმილი გაქვთ მანამდე საკონტროლო მატჩის ჩატარება?

— არა. ჩვენ ბოლო ამხანაგური შეხვედრა მაისის ბოლოს ტალინში ვითამაშეთ და ესტონეთის ნაკრები 2:1 დავამარცხეთ.

— უელსის ნაკრებს თბილისში თამაში 16 ნოემბერს ელის. თქვენ ხომ არაფერი შეგიმჩნევიათ ისეთი, რის გამოც უეფა ამ სტადიონზე თამაშს აგვიკრძალავს?

— უეფას დამკვირვებლებისა რა მოგახსენოთ, მე კი ყველაფერი მომეწონა — თამაშიც, სტადიონიც და ამინდიც. კარგი იქნება, თუ 16 ნოემბერსაც ასეთი თავხმა წვიმა იქნება.

ზურაბ მეძველია
ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

ასე მოცელა ჩო კამილერმა შოთა არველაძე, რომელმაც შეისვე თანაგუნდელებისგან მილოცვები მიიღო, მალე კი მალტელთა მეკარე კლუეტს გადაუწურა იმედი

გია ახალაძის ფოტოები



რა მოხდა ქუთაისში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეთანხმებით, სათაური ტრივიალურია. ისიც ვიცი, „რა მოხდა აბაშაში“ რომ გაგონებთ. მაგრამ ნუ იჩქარებთ გადაფურცვლას, რადგან მე სიმინდს კი არა, საფეხბურთო ექსპერიმენტზე მოგითხრობთ.

მას შემდეგ, რაც ეროვნულ ჩემპიონატებს ვმართავთ, ვერა და ვერ გამოუჩნდა ფეხბურთს ქუთაისში ნორმალური პატრონი. ყოველწლიურად, თითქოს განგებო, გუნდს წამყვან ფეხბურთელთა მთელი ტალღა ტოვებს. პირველი ჩემპიონატის შემდეგ 6 კაცი წავიდა, მეორის შემდეგ 3, მესამის დამთავრებისთანავე 13 და მეოთხის დასასრულს 14. ამის მიუხედავად, „ტორპედოსნაირ“ შედეგებს თუ III ჩემპიონატის XI ადგილს (ამ დროს გუნდს ბურკაძე არ წვრთნიდა) არ ჩავთვლით, ბევრი ვერ დაიკვეხნის — IV, III, V და III ადგილები. როგორც ხედავთ, „ტორპედო“ სულ ლიდერთა შორისაა, მაგრამ არა მათ თავში. ამ დროს ქუთაისური ფეხბურთის აღზრდილები მეზობელი ქალაქ-რაიონების გუნდებს აძლიერებენ და მათგან, შეიძლება ითქვას, ორსამ კარგ გუნდს შექმნიდა კაცი. ვერ გეტყვით, რის იმედად მიდიან ამოდენა რისკზე, „ტორპედოს“ მესვეურნი, მაგრამ ფაქტია — ისინი ბეწვის ხიდზე გადიან. იმედად ალბათ ის თუ აქვთ, ერთმა ქუთათურმა რომ თქვა: ქუთაისში ფეხბურთი სარეველასავითაა, რაც არ უნდა ეცადო მის ამოძირკვას, ვერ მოსპობ, სადღაც ქვებს შორის მაინც ამოვაო. ვერ დავეთანხმები, ჯერ ერთი, სად სარეველის შეუხედობა და სიმყრალე და სად ნალოლიავები ვარდის სილამაზე და სურნელება, მეორეც, სარეველასაც რომ ნიადაგი გამოეცლება და მისგან საზრდოს ვეღარ მიიღებს, ისიც ჩამოყრის ყურებს. ქუთაისურ ფეხბურთს ინერციით ჯერ კიდევ ძალუძს სასწაულების მოხდენა, მაგრამ ბავშვთა ფეხბურთიდან თუ ცვლა არ წამოეწია, თავს ვეღარ გაინებივრებს ფეხბურთელთა ხელიდან გაშვებით. უნდა ითქვას, „ტორპედოს“ ადგილზე ნებისმიერი გუნდი უმდიდრესი გახდებოდა. ხუმრობა ხომ არ არის: რაც „ტორპედოდან“ ხალხი წასულა, ყველაში რომ მის აღმზრდელ კლუბს თავისი წილი მიეღო, მერწმუნეთ არავის სამადლოდ არ ექნებოდა საქმე, მათ შორის არც ქალაქის მერია და მისი ბიუჯეტი შეწუხდებოდა. „ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო“-ო, ნათქვამია და მერიას რაც ოვითონ არ გააჩნია, იმას სხვას როგორ მისცემს. ისე კი, შეძლებისდაგვარად ეხმარება კლუბს. უკანასკნელ სეზონში სწორედ მას რომ არ ეპატრონა გუნდისათვის, „ტორპედო“ ჰაერში გამოკიდული დარჩებოდა. ყველამ იცის, რომ რომ V ჩემპიონატის წინ გუნდი 14 ფეხბურთელმა დატოვა და მასში მხოლოდ 4 ფეხბურთელი დარჩა. კლუბის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ (პრეზიდენტი — თ.თავზარაშვილი, კლუბის დირექტორი — ა.გიორგობიანი) პირველ-მეორე ჯგუფის მკვიდრთ მოუყარა თავი და გროშების ფასად ზოგს ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა, ზოგსაც ათწლიანი (!!!). სახალხოდ იძახდნენ, ეს გუნდი წელს არა, მაგრამ ორსამ წელიწადში სხვებსაც აჯობებსო, მაგრამ ამ სიტყვებში სხვას როგორ დაჯერებდნენ, როცა თავისი ნათქვამის თავად არ სჯეროდათ. ასე რომ არ ყოფილიყო, გუნდს შუა გზაში, პირველი ეტაპის შემდეგ არ მიატოვებდნენ, მაგრამ გავარდნის შეეშინდათ და პილატესავით ხელები გადაიბანეს. თუმცა რა, გავარდნის მათ კი არა, გამოცდილ გიგა ნორაკიძესაც შეეშინდა, პასუხისმგებლობა მოიხსნა და თქვა — რასაც მე არ მაპატიებენ, იმას აპატიებენ ბურკაძესო, თან დააყოლა, მასზე უკეთეს მწვრთნელს ქუთაისი ვერც ინატრებსო.

საბედნიეროდ, ბურკაძეს საპატიებელი არაფერი სჭირს. მან „ტორპედოსთან“ ერთად სასწაული მოახდინა, რადგან არც ერთ გუნდს დღემდე (თუ I არ ჩავთვლით) ეროვნულ ჩეპიონატში დებიუტანტებით მესამე ადგილი არ მოუპოვებია. სიმართლე რომ ვთქვათ, „ტორპედომ“ ყველაფერს კარგი ფიზიკური მომზადებით მიაღწია. გუნდების უმრავლესობა ხეირიანად ვერც ვარჯიშობდა, ამიტომ ქუთაისელებს მათთვის გადარბენა ყველაზე უკეთ შეეძლოთ. რაც შეეხება თამაშის ხარისხს, იგი არცთუ სახარბიელო იყო, მაგრამ ზოგჯერ სიამოვნებასაც ანიჭებდა ხალხს

„თუ შენმა რჩეულმა მიგატოვა, ჯერ კიდევ უცნობია, ვის გაუმართლა“. ერთი შეხედვით უადგილოდ მოტანილი ეს გამონათქვამი რევაზ ბურკაძეს რომ უთხრათ, არ გაუკვირდება. მეზუთე წელია, მისი რჩეულნი ტოვებენ ბურკაძის საყვარელ გუნდს ქუთაისის „ტორპედოს“, მაგრამ ვერ ახერხებენ მასზე უკეთესი შედეგის მიღწევას.

ბურკაძე: აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს

ხუთი წლის მანძილზე სისხლისგან დაცლილი „ტორპედო“ ყველასთვის მოულოდნელ წარმატებებს აღწევს და ამის მთავარი მიზეზი რევაზ ბურკაძის საფეხბურთო ცოდნა, ენთუზიაზმი და საქმისადმი გაუგონარი სიყვარულია. ისევე, როგორც ფეხბურთელებს, ბურკაძესაც დიდი ხანია, „ოქროს მთებს“ ჰპირდებიან სხვადასხვა გუნდები, მაგრამ იგი აქა დგას და სხვაგვარად არ ძალუძს. „ტორპედოსთან“ განშორება მას არანაირი გასამრჯელოს ფასად არ შეუძლია. ჯოდ, ფორტუნაც მის მხარეზეა უმეტესწილად, უფასებს მის პატიოსნებას, კეთილშობილებას, შიგადაშიგ გულუბრყვილობასაც და მეტადრე შრომისმოყვარეობას. მაინც რა არის ბურკაძის წარმატების მიზეზი? მხოლოდ ფანატიზმამდე მისული სიყვარული? ძნელია ამის თქმა, ისე კი, მწვრთნელის მაგალითი კარგი მასალაა ახალი გუნდის უცებ შესადეგებლად.

მთავარი, რაზეც რევაზ ბურკაძე ყურადღებას ამახვილებს, ფიზიკური მომზადებაა. მისი გუნდი ყოველთვის ძლიერად გამოიყურება მთელი მატჩის მანძილზე. გამოირჩევა სტაბილურობით. შარშანდელ სეზონში „ტორპედომ“ თითქმის ყველა გუნდს მოუგო მეორე ტაიმი. წელს კი მისი უმთავრესი კოზირი უდავოდ კარგი ფიზიკური მომზადება გახლდათ. მისი გუნდის ტაქტიკურ მონახაზში რაიმე სიახლე ძნელი შესამჩნევია. ასეთი რამ ხომ მხოლოდ ერთეულებს სჩვევათ, მაგრამ ბურკაძე განუწყვეტლივ მიიღტვის პროგრესისკენ. ათი ხმა რომ მქონდეს და 1993-94 წლების სეზონის საუკეთესო მწვრთნელს რომ ვასახელებდე, ათივეს ბურკაძეს მივცემ, ვფიქრობ, მისი კონკურენტებიც ვერ დამიძრახავენ ჩემს ამ საქციელს.

მარჯვენათი, მარცხენათი, თავით... აჯდომით

ანტირეკლამა

ტელეკომპანია „ვიდ“-ის მსგავსად, ჩვენც რომ ჩაგვეტარებინა გამოკითხვა კვირის ადამიანის გამოსაცლელად, მასში უდავოდ მირზა მაღლაკელიძე გაიმარჯვებდა მაისის უკანასკნელ მსგეფსში. „შევარდენთან“ მატჩის დროს „ტორპედოს“ ცენტრფორვარდმა უარეცენდენტო რამ ჩაიდინა, საქართველოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფში გოლი, უკაცრავად, და, საჯდომით გაიტანა. „შევარდენის“ კარში ჩატანილი მეოთხე გოლი მსაჯმა არ ჩათვალა, თავდამსხმელი კი ყვითელი ბარათს დაუჯერა. დაუჯერა-თქო, იმიტომ ვამბობ, რომ მავანთა თქმით იგი თურმე გაძევებასაც იმსახურებდა არასპორტული საქციელისთვის. ბევრი ვეძებე, მაგრამ ასეთი ფაქტის ზუსტ სახლაურს ვერც ფეხბურთის წესებში მივაგენი და ვერც დისციპლინარულ სასჯელებში. აქამდე მეგონა, არასპორტულ საქციელად მეტოქისთვის უხერხულ ადგილზე წიხლისკვრა ან პირში დაგუბებული ბლანტი სითხის მსაჯზე მიფრქვევა ითვლებოდა, მაგრამ არა — კარში უკანალით ბურთიანად შესვლაც არასპორტული საქციელი ყოფილა. სხვისი არ ვიცი და, როცა აღშფოთების, სირცხვილისა და სიბრალულის ნარევმა გრძნობამ გადამაარა, მაშინვე კარლო ხურციძის ოდინდელი სიტყვები გამახსენდა, თავის შეგირდს რამაზ შენგელიას რომ ეუბნებოდა — გოლი რითაც გინდა გამიტანე — ფეხით, თავით, ცხვირით, ტ-კით, ირღინდ გოლი იყოსო. ვერ გეტყვით, როგორ უსმენდა თავის პიველ მოძღვარს შენგელია, მაგრამ მაღლაკელიძეს რომ იმ მომენტში ეს სიტყვები არ გახსენებია, ამას ხატზე დაუფიცებ. სხვა რომ არაფერი, დაფიქრებას ვინ აცდიდა, ჯერ ხომ შეურაცხყოფილი მეტოქეების მუჯლუგუნები ჰქონდა მოსაგერიებელი მსაჯობით განწყენებული იმ მეტოქეებისა, რომელთა სრული უმრავლესობა, ამ გოლს ცენტრალურ რკალში თავმოყრილი აღევნებდა თვალს. კარის მარცხნა ძელთან ჩაცუცქული მეკარე კი უშუალოდ წამქეზებელი გახლდათ მოწინააღმდეგისა: „თუ არ გაიტანო, შენი ასე და ისე-ო“. მოდი და განსაჯე ახლა კაცმა, ვინაა მტყუანი — „უზრდელი, თავდამსხმელი, „პროტესტანტი“ „შევარდენი“, თუ „უნამუსო მსაჯი“? თეთრია თუ შავია, ყველა დამნაშავეაო, მგონი სწორედ ამაზეა ნათქვამი. მიზნად დამნაშავის ძებნა არ მქონია. მინდოდა მცველიდან 13 ბურთის გამტან კლუბის ბომბარდირად გარდასახულ მაღლაკელიძისათვის ანტი (თუმცა „ანტი“, მაგრამ მაინც) რეკლამა გამეწია, დამეთანხმებით, ეს მან დაიმსახურა. და მიუხედავად ამისა, მასზე ორი თვის შემდეგაც ვწერ.

სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების მომენტში ყოფ ჩვენს ფოტორეპორტიორს გულმა ვეღარ გაუძლო და ხელებაკანკალებულმა ვეღარ შეძლო ისტორიისთვის იმ გოლის ამსახველი კადრის შემონახვა. სამაგიეროდ, პირველ ტაიმში მოასწრო მაღლაკელიძის გამოჭერა, იმ მომენტში როცა თავდამსხმელმა კეიტტიანს პენალტი „აკალა“

ვახტანგ ბზიკაძე
ბადრი კეთილაძის ფოტო

გუნდები იშლებიან და ერთიანდებიან

ფინანსური გაჭირვება დამოკლეს მახვილივით აღმართულა ქართული გუნდების თავზე, ბევრი მათგანი დაშლის პირასაა. საქართველოს უძველესი კლუბი, „შევარდენი 1906“-იც კატასტროფის წინაშე დადგა, მაგრამ მას მხსნელად „თეორი არწივი“ მოევლინა და ახლა გაერთიანებულ გუნდს ასარჩევად აქვს საქმე, ავლაბრის სტადიონზე ითამაშოს თუ შევარდნისაზე. კლუბი ალბათ გაერთიანებული სახელით იასპარეზებს უმაღლეს დივიზიონში. მასში აღარ იქნებიან გრიგოლ ჭანტურია, გია ჯიშკარიანი, კახი გოგიჩაიშვილი, რომეო გოგიტაძე, ზაზა ჯანაშია, რომლებიც „სამტრედიაში“ გადავიდნენ. არმიულ-შევარდნული კლუბის პრეზიდენტი კვლავაც ზურაბ ქიტიაშვილი იქნება. კლუბს მეორე დივიზიონში ეყოლება ე.წ. „ფარმ-კლუბი“.

ასევე გაერთიანდნენ „ანცი“ და ზოოვეტინსტიტუტის „კრწანისი“, ოღონდ კვლავაც ორ გუნდად დარჩებიან. ფეხბურთელები ზოოვეტინსტიტუტის ბაზაზე გადიან წვრთნას ელგუჯა გუგუშვილის ხელმძღვანელობით.

„სამტრედია“ მურთაზ ხურცილავას ხელმძღვანელობით თბილისში გადის წინასასეზონო მომზადებას. გუშინწინ კლუბმა ფრედ 0:0 ითამაშა ოლიმპიურ ნაკრებთან, დღეს კი რუსთავში „მეტალურგს“ ეთამაშება. წინა ნომერში მოგახსენებდით, რომ შესაძლოა ძმებ კილასონიების კვიპროსის „ანორთოსისში“ გაეგრძელებინათ კარიერა. როგორც ახლახან შევიტყვეთ, კილასონიები კვლავ რუსთავში ბრუნდებიან. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ „მეტალურგს“ საკმაოდ ძლიერი შემტევი ტრიო ეყოლება: გიორგი — ვარლამი — ბადრი კვარაცხელია. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, ჩემპიონატი ალბათ 21 აგვისტოს დაიწყება. ჯგუფი კვლავაც ორ ზონად იქნება გაყოფილი. გუნდების დაშლის გამო უცნობია რამდენი გუნდი ითამაშებს აღმოსავლეთ და რამდენი დასავლეთ ზონაში. მოგეხსენებათ ახალ ჩემპიონატში ზონებში გამარჯვებულები პირდაპირ უმაღლეს დივიზიონში გადავლენ.

ალბათ ყველას აინტერესებს სოხუმის „ცხუმის“ ბედი. კლუბის ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობს „ცხუმის“ შენარჩუნებას და ამაში მაი აფხაზეთის მთავრობაც დიდ დახმარებას უწევს. ფეხბურთელებიც თანახმანი არიან კვლავ დაუბრუნდნენ შშობლიურ კლუბს. მეშვიდე ჩემპიონატიდან „ცხუმი“ ისევ ითამაშებს ერთ ჯგუფულ ჩემპიონატში.

ერთკვირიან შეკრებას მალე დაიწყებენ მსაჯებიც. 10 აგვისტომდე ისინი კუპერის ტესტსაც ჩააბარებენ და 14-ში ჩემპიონატს ყოველმხრივ მზადყოფნაში შეხვდებიან.

მამუკა კვარაცხელი

ევროტურნირების წინასწარი

ჩემპიონთა თასი

წლეულს ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში რვის ნაცვლად 16 გუნდი ითამაშებს. რვა უძლიერესი თავისუფალია შესარჩევი მატჩებისგან და კენჭისყრისას მხოლოდ ჯგუფებში მათ ადგილები გაიჩეკვა.

შესარჩევი წრე
(ა) სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი) — სერვეტი (შვეიცარია)
(ბ) სპარტა (პრაღა, ჩეხეთი) — გოიტებორგი (შვედეთი)
(გ) ავენირი (ლუქსემბურგი) — გალათასარაი (თურქეთი)
(დ) პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი) — ვაც სამსუნგი (უნგრეთი)
(ე) მაკაბი (ხაიფა, ისრაელი) — კაზინო (ზალცბურგი, ავსტრია)
(ვ) ა.ე.კ. (ათენი, საბერძნეთი) — გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)
(ზ) ლეგია (პოლონეთი) — ჰაიდუკი (სპლიტი, ხორვატია)
(თ) სილკებორგი (დანია) — დინამო (კიევი, უკრაინა)
მატჩები გაიმართება 10 და 24 აგვისტოს.

გამარჯვებული 8 გუნდი დაემატება რვა განთესილს და ოთხ ჯგუფში მეოთხედფინალის საგზურს ეკითამაშებენ.
A ჯგუფი: (გ) მატჩის მომგები, მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), (ბ) მატჩის მომგები, ბარსელონა (ესპანეთი).
B ჯგუფი: ბაიერნი (გერმანია), (თ) მატჩის მომგები, სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი), (დ) **მატჩის** მომგები.
C ჯგუფი: (ა) მატჩის მომგები, (ზ) მატჩის მომგები, ბენფიკა (პორტუგალია), ანდერლეხტი (ბელგია).
D ჯგუფი: მილანი (იტალია), (ე) მატჩის მომგები, (ვ) მატჩის მომგები, აიაქსი (ჰოლანდია).
ეს გუნდები ორწრიან ტურნირს წელსვე დაამთავრებენ. მატჩები გაიმართება 14 და 28 სექტემბერს, 13 ოქტომბერს, 2 და 23 ნოემბერს და 7 დეკემბერს. პირველ ტურში, 14 სექტემბერს ერთმანეთს ხვდებიან:
A ჯგუფი: ბარსელონა — (გ)-ს მოგებული, მანჩესტერ იუნაიტედი — (ბ)-ს მოგებული
B ჯგუფი: (დ)-ს მოგებული — ბაიერნი, (თ)-ს მოგებული — სპარტაკი
C ჯგუფი: ანდერლეხტი — (ა)-ს მოგებული, (ზ)-ს მოგებული — ბენფიკა
D ჯგუფი: აიაქსი — მილანი, (ე)-ს მოგებული — (ვ)-ს მოგებული

ჯგუფური ტურნირების შემდეგ მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდებიან:
A 1 — B 2, D 1 — C 2, B 1 — A 2, C 1 — D 2

პირველი მატჩის გამარჯვებული ნახევარფინალში მეორეს მოგებულს შეხვდება, მესამისა კი — მეოთხის გამარჯვებულს. ფინალი 24 მაისს ჩატარდება.

თასების თასი

ბოლო მომენტში განთესილი სლოვაკეთის „ტატრანი" პოლონეთის ლ.კ.ს.-მ შეცვალა. შესარჩევ წრეში გამარჯვებული 12 გუნდი დანარჩენ ოცს დაემატება და თასისთვის ბრძოლა მეთექვსმეტედფინალიდან გაგრძელდება.

შესარჩევი წრისგან თავისუფალნი არიან: სამპდორია (იტალია), არსენალი (ინგლისი), ჩელსი (ინგლისი), სარაგოსა (ესპანეთი), ვერდერი (გერმანია), ბრონდბიუ (დანია), ოსერი (საფრანგეთი), პორტუ (პორტუგალია), დანდი იუნაიტედი (შოტლანდია), ბრიუგე (ბელგია), ც.ს.კ.ა. (რუსეთი), აუსტრია (ვენა, ავსტრია), ფეიენოორდი (ჰოლანდია), პანათინაიკოსი (საბერძნეთი), კროაცია (ხორვატია), ლ.კ.ს. (პოლონეთი), ბეშიქთაში (თურქეთი), გრასჰოპერსი (შვეიცარია), გლორია (რუმინეთი), ჩერნომორეცი (უკრაინა).

შესარჩევი წრე
ნორმა (ტალინი, ესტონეთი) — მარიბორი (ბრანიკი, სლოვენია)
პირინი (ბულგარეთი) — შაანი (ლიხტენშტეინი)
ფანდოკა (ბობრუისკი, ბელარუსი) — ტირანა (აღბანეთი)
ტილიგული (ტირასპოლი, მოლდოვა) — ომონია (ნიკოზია, კვიპროსი)
ფერენცვაროში (უნგრეთი) — F91 დუდელანჟი (ლუქსემბურგი)
ფლორიანა (მალტა) — სლიგო როვერსი (ირლანდია)
ბერი თაუნი (უელსი) — ჟალგირისი (ვილნიუსი, ლიტვა)
ბოდო გლიმტი (ნორვეგია) — ოლიმპია (რიგა, ლატვია)
ვალეტორია (ფიქკოვი, ჩეხეთი) — ნორჩიოპინგი (შვედეთი)
B 1 სანდურე (ფარერები) — ჰ.ი.კ. (ჰელსინკი, ფინეთი)
ი.ტ.კ. (კეფლავიკი, ისლანდია) — მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი)
ბალიგორი (ჩრდ.ირლანდია) — ტატრანი (პრეშოვი, სლოვაკეთი)
მატჩები შედგება 11 და 25 აგვისტოს.

უეფას თასი

შესარჩევ წრეში გამარჯვებული 27 გუნდი დაემატება დანარჩენ 37-ს და სექტემბერში, ტრადიციულად, ოცდამეთორმეტედფინალის მატჩები გაიმართება.

შესარჩევი წრიდან თავისუფალნი არიან: იუვენტუსი, პარმა, ინტერი, ლაციო, ნაპოლი (იტალია), მარსელი, ბორდო, კანი, ნანტი (საფრანგეთი), რეალი, დეპორტივო, ატლეტიკი (ესპანეთი), დორტმუნდის ბორუსია, ლევერკუზენის ბაიერი, აინტრახტი, კაიზერსლაუტერნი (გერმანია), ასტონ ვილა, ნიუკასლ იუნაიტედი, ბლეკბერნ როვერსი (ინგლისი), ლისაბონის სპორტინგი, ბოავიშტა, მარიტიმუ (პორტუგალია), ანტვერპენი, სერენი, შარლეროუა (ბელგია), მოსკოვის დინამო, როტორი, ტექსტილშჩიკი (რუსეთი), ვიტესი, ეინდჰოვენი, ტვენტე (ჰოლანდია), ადმირა ვაკერი, ტიროლი (ავსტრია), ტრაბზონსფორი (თურქეთი), სიონი (შვეიცარია), ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი), დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი).

შესარჩევი წრე
დინამო (თბილისი, საქართველო) — უნივერსიტატია (კრაიოვა, რუმინეთი)
სლავია (პრაღა, ჩეხეთი) — კორკ სიტი (ირლანდია)
მოზერუელი (შოტლანდია) — ჰაფნარი (ფარერები)
კოპენჰაგენი (დანია) — იაცი (ფინეთი)
პორტადაუნი (ჩრდ. ირლანდია) — სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი)
ბანგორ სიტი (უელსი) — აკრანესი (ისლანდია)
მიუბა-47 (ფინეთი) — ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი)
ოდენსე (დანია) — ფლორა (ტალინი, ესტონეთი)
ლილესტრიომი (ნორვეგია) — შახტიორი (დონეცკი, უკრაინა)
გოტუ (ფარერები) — ტრელბორგსი (შვედეთი)
გურნიკი (ზაბჟე, პოლონეთი) — შემროკ როვერსი (ირლანდია)
რომარი (მაჟეიკიაი, ლიტვა) — ა.ი.კ. (სტოკჰოლმი, შვედეთი)
ჰაფნარფიორდური (ისლანდია) — ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)
სკონტო (რიგა, ლატვია) — აბერდინი (შოტლანდია)
ინტერი (კარდიფი, უელსი) — გ.კ.ს. (კატოვიცე, პოლონეთი)
რუსენბორგი (ნორვეგია) — გრევენმახერი (ლუქსემბურგი)
არაუ (შვეიცარია) — მურა (სლოვენია)
ანორთოსისი (კვიპროსი) — შუმენი (ბულგარეთი)
ვარდარი (მაკედონია) — ბეკეშჩაბა (უნგრეთი)
ოლიმპია (ლუბლიანა, სლოვენია) — ლევსკი (ბულგარეთი)
ფენერბაჰჩე (თურქეთი) — ტურანი (აზერბაიჯანი)
ლა ვალეტა (მალტა) — რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი)
კიშპეშტ ჰონვედი (უნგრეთი) — ზიმბრული (კიშინიოვი, მოლდოვა)
არარატი (ერევანი, სომხეთი) — ც.ს.კ.ა. (სოფია, ბულგარეთი)
დინამო (მინსკი, ბელარუსი) — ჰიბერნიანსი (მალტა)
ტეუტა (აღბანეთი) — აპოლონი (კვიპროსი)
არისი (სალონიკი, საბერძნეთი) — აპოელი (ბერ-შეკა, ისრაელი)
მატჩები გაიმართება 9 და 23 აგვისტოს.

„უნივერსიტატია" კრაიოვა

დაარსდა 1948 წელს
რუმინეთის ჩემპიონი — 1974, 1980, 1981, 1991
თასის მფლობელი — 1977, 1978, 1983, 1990, 1993
სტადიონი — ქალაქის ცენტრალური (30 000)
კლუბის პრეზიდენტი — კორნელ სტროე

მეტოქე ჰაჯის ქვეყნიდან

მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარების წლებში თბილისის „დინამო" თუ ევროთასებზე მონაწილეობს, პირველ წრეში მას აუცილებლად იმ ქვეყნის კლუბი უნდა შეხვდეს, ჩემპიონატზე ფურორს რომ ახდენს. ასე იყო 1978 წელს, როცა „ნაპოლი" ერგო, იგივე გაიმეორდა 1982-ში. ასე რომ, ფარერების და ლიხტენშტეინის კლუბს თბილისელთა გულშემატკივარი ამამად ელოდა. ქენევის „ნოგა პილტონ ოტელში" გუშინ გამართულმა კენჭისყრამ საქართველოს ხუთგზის ჩემპიონის მეტოქედ რუმინეთის ქალაქ კრაიოვას „უნივერსიტატია" დასახელა.

...რუმინეთის საუნივერსიტეტო ცენტრი კრაიოვაში 1948 წელს, არსებული გუნდი თავიდან მხოლოდ სტუდენტებს ათამაშებდა, მაგრამ გავიდა დრო, 1964 წელს „უნივერსიტატია" რუმინეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოხვდა და მას მერე გუნდში იმდენივე სტუდენტმა ითამაშა, რამდენმა მილიციონერმაც თბილისის „დინამოში". ასე რომ, სწავლა-განთლებასთან კლუბს სახელიც აკავშირებს, თუმცა ტრადიცია ტრადიციაა და „დინამოს" მომავალი მეტოქის შეადგენლობა თითქმის ყოველთვის ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილე გუნდებში ყველაზე ახალგაზრდულია. არცთუ შორეულ წარსულში ეს თვისება მთლად სახეირო ნამდვილად არ იყო — მილიციისა და არმიის გუნდების („სტიაუა" და ბუქარესტის „დინამო") ხელმძღვანელებს იმ დროს ყველაფერი ფეხებზე ეკიდათ და ოდნავ თვალსაჩინო უნივერსიტეტელებს იმწუთას თავიანთ კლუბებში მიაქანებდნენ. მაგრამ სახალხო რევოლუციამ ბოლო მოუღო (როგორც ამბობენ, ჯერ ბოლომდე არა) ბუქარესტის „გრანდების" პარაშს და პროვინციული კლუბების ბედი მათივე ხელში აღმოჩნდა. ახლა ისინი იმ ჭკუაზე აღარ არიან, თავიანთი ფეხბურთელი „დინამოში" რომ გაუშვან — უცხოეთში გაყიდვა უფრო სარფიანი გამოდგა. „უნივერსიტატიას" ლიდერის, გეორგე პოპესკუს „ეინდჰოვენში" გადასვლა თავის დროზე ამ საქმის ერთ-ერთი პირველი მერცხალი იყო.

ევროტურნირებში კრაიოველები პირველად 1970 წელს გამოვიდნენ და მას შემდეგ თითქმის ყოველწლიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა თასების გათამაშებაში, უდიდეს წარმატებას კი 1982-83 წლების სეზონში მიაღწიეს, როცა უეფას თასზე „ფიორენტინას", „შემროკ როვერსის", ბორდოს" და „კაიზერსლაუტერნის" მოგების შემდეგ ფინალის საგზური მხოლოდ საკუთარ მოედანზე გაშვებული ერთი გოლის წყალობით დაუთმეს „ბენფიკას". საინტერესოა, რომ „უნივერსიტატია" ევროპულ არენაზე ორჯერ შეხვდა ყოფილ საბჭოურ გუნდებს და ორივეჯერ დამარცხდა — 1977 წელს მოსკოვის, 1985-ში კი კიევის „დინამოებთან". ეტყობა, კრაიოველებს „დინამოს" კომპლექსი სჭირთ და ეხეც ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ.

სამი წლის წინ კლუბში დიდი არეულობა მოხდა. დუბლის გაკეთებამ, ეტყობა, თავბრუ დაახვია გუნდს. დირექტორატს, მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს შორის კონფლიქტი მოხდა და შედეგმაც არ დაყოვნა: ჩემპიონთა თასის პირველივე წრეში „უნივერსიტატია" კვიპროსის „აპოლონმა" დამარცხა, თუმცა ამას ვინ ჩივის, უარესი სირცხვილი ჯერ კიდევ წინ იყო — 1991-92 სეზონი გუნდმა მეოთხე ადგილზე დასრულა და წინ თავისივე ქალაქის ახლადგამოჩეკილი კლუბი, იმ წლის დებიუტანტი „ელექტროპუტერე" გაუშვა. ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და... 1992-93 სეზონში „უნივერსიტატამ" მეექვსედ მოიგო ქვეყნის თასი და



გეორგე კრაიოვანუ — რუმინეთის ბოლო ჩემპიონატის ბომბარდირი — 21 გოლი

მართალია, ფინალური მატჩის არბიტრი მირჩა სალომირი კრაიოველებისადმი გამოჩენილი დიდი სიმპათიებისთვის ფედერაციამ დასჯა, ანგარიში 2:0 ძალაში დარჩა. შარშანდელის გამეორებას „უნივერსიტატია" წელსაც ეცადა, ნახევარფინალი „არჯესს" მოუგო, მაგრამ ფინალის 23-ე წუთზე გაშვებული გოლი ველარ გაქვითა და თასიც „გლორიას" გადაბარა. რაც შეეხება ჩემპიონატს, აქ გუნდი, თუმცა კი 13 ქულით, მაგრამ მხოლოდ ჩემპიონ „სტიაუას" ჩამორჩა და უეფას თასის საგზურიც მოიპოვა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე რუმინეთის ნაკრებში ორი კრაიოველი იყო შეყვანილი, მაგრამ 20 წლის კორნელიუ პაპურას მხოლოდ ორიოდ წუთით თამაში ეღირსა, 21 წლის სტინგა კი სათადარიგოთა სკამს მიეჯაჭვა. „უნივერსიტატიას" ლიდერი, რუმინეთის ბოლო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გეორგე კრაიოვანუ ხომ საერთოდ ვერ მოხვდა 22-კაციან განცხადაში — რადუჩოუსა და დუმიტრესკუს კონკურენციას ვერ გაუძლო. სტინგას, პაპურასა და კრაიოვანუს გარდა მიმოშხილველები გამოყოფენ კრაიოველთა მცველს, 30 წლის გეორგე ბიტას, ვინც რუმინეთის წლევანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ლიბერიდ აღიარეს.

ზურაბ მეძველია

„უნივერსიტატია" ევროპულ ტურნირებზე

1970-71	უთ	1/32	„უნივერსიტატია" — „დოჟა უიპეშტი" უნგრეთი	2:1,	0:3
1973-74	უთ	1/32	„ფიორენტინა" იტალია — „უნივერსიტატია"	0:0,	0:1
		1/16	„სტანდარდი" ბულგარია — „უნივერსიტატია"	2:0,	1:1
1974-75	ჩთ	1/16	„უნივერსიტატია" — „ატვიდაბერგი" შვედეთი	2:1,	1:3
1975-76	უთ	1/32	„უნივერსიტატია" — „ცრვენა" ზვეზდა" იუგოსლავია	1:3,	1:1
1977-78	თთ	1/16	„ოლიმპიაკოსი" კვიპროსი — „უნივერსიტატია"	1:6,	0:2
		1/8	„დინამო" მოსკოვი, სსრკ — „უნივერსიტატია"	2:0,	0:2 ə 3:0
1978-79	თთ	1/16	„უნივერსიტატია" — „ფორტუნა" დიუსელდორფი, გფრ	3:4,	1:1
1979-80	უთ	1/32	„ვინერ სკ" ავსტრია — „უნივერსიტატია"	0:0,	1:3
		1/16	„ბორუსია" მონხენგლადბახი, გფრ — „უნივერსიტატია"	2:0,	0:1
1980-81	ჩთ	1/16	„ინტერი" იტალია — „უნივერსიტატია"	2:0,	1:1
1981-82	ჩთ	1/16	„უნივერსიტატია" — „ოლიმპიაკოსი" საბერძნეთი	3:0,	0:2
		1/8	„კბ კოპენჰაგენი" დანია — „უნივერსიტატია"	1:0,	1:4
		1/4	„უნივერსიტატია" — „ბაიერნი" გფრ	0:2,	1:1
1982-83	უთ	1/32	„უნივერსიტატია" — „ფიორენტინა" იტალია	3:1,	0:1
		1/16	„შემროკ როვერსი" ირლანდია — „უნივერსიტატია"	0:2,	0:3
		1/8	„ბორდო" საფრანგეთი — „უნივერსიტატია"	1:0,	0:2
		1/4	„კაიზერსლაუტერნი" გფრ — „უნივერსიტატია"	3:2,	0:1
		1/2	„ბენფიკა" პორტუგალია — „უნივერსიტატია"	0:0,	1:1
1983-84	უთ	1/32	„უნივერსიტატია" — „პაიდუკი" იუგოსლავია	1:0,	0:1 ə 1:3
1984-85	უთ	1/32	„ბეტისი" სევილია, ესპანეთი — „უნივერსიტატია"	1:0,	0:1 ə 3:5
		1/16	„უნივერსიტატია" — „ოლიმპიაკოსი" საბერძნეთი	1:0,	1:0
		1/8	„უნივერსიტატია" — „ულეუზნიჩარი" იუგოსლავია	2:0,	0:4
1985-86	თთ	1/16	„მონაკო" — „უნივერსიტატია"	2:3,	0:3
		1/8	„უნივერსიტატია" — „დინამო" კიევი, სსრკ	2:2,	0:3
1986-87	უთ	1/32	„უნივერსიტატია" — „გალათასარაი" თურქეთი	2:0,	1:2
		1/16	„დანდი იუნაიტედი" შოტლანდია — „უნივერსიტატია"	3:0,	0:1
1987-88	უთ	1/32	„უნივერსიტატია" — „შავეში" პორტუგალია	3:2,	1:2
1990-91	უთ	1/32	„პარტიზანი" ალბანეთი — „უნივერსიტატია"	0:1,	0:1
		1/16	„უნივერსიტატია" — „ბორუსია" დორტმუნდი, გფრ	0:3,	0:1
1991-92	ჩთ	1/16	„უნივერსიტატია" — „აპოლონი" კვიპროსი	2:0,	2:3
1992-93	უთ	1/32	„სიგმა" ჩეხეთსლოვაკეთი — „უნივერსიტატია"	1:0,	2:1
1993-94	თთ	1/16	„უნივერსიტატია" — „პაფნარი" ფარერები	4:0,	3:0
		1/8	„პარი სენ-ჟერმენი" საფრანგეთი — „უნივერსიტატია"	4:0,	2:0

„სარბიელის“ ექსპერტი

ჭკუა თქვი, თორემ ხუთიც შეიძლება, ორიც და ერთიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუმინეთი — აშშ. დან პეტრესკუს გოლი ტონი მადლას კარში

დასრულდა მსოფლიოს XV ჩემპიონატი, ჩაცხრა ვნებები და დადგა ჟამი ფიქრთმოძალებისა. პირველად, ცხადია, ბრაზილიელებზე უნდა ვთქვათ, მათზე, ვინც ღირსეულად მოიპოვა ჩემპიონის წოდება. წინა ჩემპიონატებისგან განსხვავებით მათი თამაში უფრო პრაქტიკულია. ეს გამორჩევით ითქმის ნახევარმცველებზე, რომლებიც აქტიურად ეთამაშებოდნენ მეტოქეებს შუა მინდორში ბურთის წასართმევად და არ აძლევდნენ მათ ორგანიზებული შეტევის განხორციელების საშუალებას. მათი ასეთი მოქმედება ძალიან უადვილებდა თამაშს მცველებს და აკი ამათ მთელი ჩემპიონატი ჩავარდნის გარეშეც ჩაატარეს და შეტევებშიც აქტიურად ეხმარებოდნენ პარტნიორებს. რაც შეეხება თავდასხმას, აქ ბრაზილიელებს პრობლემა არასდროს ჰქონიათ — მათი ინდივიდუალური ოსტატობა და იმპროვიზაციის უნარი ხომ მუდამ სამაგალითოა.

იტალიის ნაკრებს მთელი ჩემპიონატის მანძილზე მრავალი პრობლემა აწუხებდა, იქნებოდა ეს ფეხბურთელთა გაძევება თუ ტრავმები. საკის ეს სტაბილური შემადგენლობის შერჩევის საშუალებას არ აძლევდა. ზოგიერთმა ფეხბურთელმა, ეს უფრო ნახევარმცველებზე ითქმის, მოსალოდნელზე უარესად ითამაშა. შუახაზელებს ძალები დაცვის ორგანიზაციისათვის თუ ჰყოფნიდათ და თავდამსხმელებს ეპიზოდურადღა ეხმარებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ იტალიელებმა ვერ შეძლეს თავიანთი კოზირის, სწრაფი კონტრშეტევების, განხორციელება, რითაც საქვეყნოდ არიან განთქმული და შიშის ზარსაც სცემენ მეტოქეებს. რაც შეეხება დაცვას, მიუხედავად მრავალი პრობლემისა და ცვლილებებისა, მათ კვლავ დამტკიცეს, რომ საუკეთესონი არიან მსოფლიოში და შეძლეს ის, რასაც ალბათ ვერც ერთი გუნდი ვერ შეძლებდა — ოთხი ტაიმის მანძილზე გაუძღეს ბრაზილიელთა მასირებულ შეტევებს, ბარეზის კი ყველას დუმტაცია, რომ მისი ჩამოწერა ძალზე ნაადრევია. ქბას და აღნიშვნას აუცილებლად იმსახურებს მალდინიც, რომელიც დაცვის ნებისმიერ პოზიციაზე მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

ღირსეულად დაიკავეს მე-3 ადგილი შვედებმა. მათ ათლეტურ, დისციპლინირებულ თამაშს ძალზე მოუხდა ბროლინის, ანდერსონის, დალინის ტექნიკური მოქმედება, გუნდს ჰქონდა საკუთარი სახე და ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა.

გერმანელებთან გამარჯვების შემდეგ ეიფორიაში მყოფმა ბულგარელებმა თითქმის იქვე დამთავრეს ჩემპიონატი. ნახევარფინალში, იტალიელებთან, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ისინი წინასწარ იყვნენ შეგუებულნი დამარცხებას. გასაკვირია პენევის მიერ სტოიჩკოვისა და კოსტადინოვის გაყვანაც მოედნიდან, ხოლო მესამე ადგილისათვის მატჩში შვედებთან მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გამოვიდნენ და ცოტა პრესტიჟიც შეილახეს.

გერმანელების უხეირო თამაშზე წინა მიმოხილვებშიც ბევრი ვილაპარაკეთ და ამჯერად თავს აღარ შეგაწყენთ, მხოლოდ იმას დავძენთ, რომ გუნდის ასეთი უხეირო გამოსვლა ბერტი ფოგთსის „დიდი დამსახურებაცა“.

ძვირს ვერ ვიტყვით ჰოლანდიელებზე — მათ ყველაფერი იღონეს წარმატებისთვის, მაგრამ დამარცხდნენ ბრაზილიელებთან, მომავალ მსოფლიო ჩემპიონებთან.

საქები სიტყვები ეკუთვნით რუმინელებს, ესპანელებს, ირლანდიელებს, ნიგერიელებს, აგრეთვე მექსიკელებს და ჩემპიონატის მასპინძლებს, ამერიკელებს. ამათი კარგი თამაშიც დიდხანს ეხსომებათ ფეხბურთის გულშემატკივრებს.

არგენტინელთა გამოსვლა შეიძლება ორ ეტაპად დავყოთ — მარადონასთან ერთად და მის გარეშე. მასთან ერთად გუნდი ბრწყინვალე იყო, უიმისოდ კი აშკარად გატყდა წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისითაც და მორალურადაც. ცუდად ჩაატარეს ტურნირი რუსებმა, კოლუმბიელებმა, კამერუნისა და საბერძნეთის ნაკრებებმა.

მსაჯობას ჩემპიონატზე ნორმალური ეთქმოდა. მიუხედავად ზოგიერთ მატჩში თავჩენილი უხეში შეცდომებისა და ზოგიერთი მსაჯის გადამეტებული სიმკაცრისა, არბიტრებმა თავი გაართვეს დაკისრებულ მოვალეობას. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ამ ჩემპიონატზე არ იყო სერიოზული ტრავმები, უხეში ფეხბურთელები ძველებურად ვერარ ნადირობდნენ ტექნიკურ, სწრაფ ფორვარდებზე. ამით საბოლოოდ ფეხბურთმაც მოიგო და მაყურებელმაც.

მთლიანად ჩემპიონატმა ცხადყო პლანეტაზე საფეხბურთო დონის გათანაბრების ტენდენცია. თითქმის ყველა გუნდი თამაშობს ორგანიზებულად, სწრაფად. ტაქტიკაში სერიოზული სიახლეები არ ყოფილა და, ალბათ, უახლოეს მომავალშიც არ არის მოსალოდნელი. ძალიან ძნელია, გუნდები რომელიმე ცნობილ სათამაშო სქემაში ჩავსვათ. განსაზღვრა იმისა, რამდენი მცველი ჰყავს გუნდს, იოლი არ არის — კარის უსაფრთხოების იცავს იმდენი მცველი, რამდენსაც ესა თუ ის ეპიზოდი მოითხოვს. კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება ეს იყოს ორი, შეიძლება ხუთიც. ასევეა ნახევარდაცვაშიც და თავდასხმაშიც. გუნდი შეიძლება ერთი ფორვარდით გამოვიდეს მინდორზე, მაგრამ მისი შეტევები ძალზე სახიფათო იყოს. აქედან გამომდინარე, წინა პლანზე იწევს გუნდების კოლექტიური თამაში, სადაც ყველა რგოლში ურთიერთშეთანხმებული მოქმედებაა აუცილებელი, საფეხბურთო ვარსკვლავები კი კვლავ რჩებიან ფეხბურთის მშვენებად — მათ მიერ შესრულებული ნებისმიერი სათამაშო ელემენტს, პასი იქნება ეს, დრიბლინგი თუ კარში დარტყმა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გუნდის საბოლოო წარმატებაში.

ამ წლიდან მოყოლებული ჩვენი გუნდები, კლუბი იქნება თუ ნაკრები, რეგულარულად მიიღებენ მონაწილეობას უეფასა თუ ფიფას ეგიდით გამართულ ტურნირებში. ჩვენ, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა მათი მომავალი გამოსვლებით ვართ დაინტერესებულნი. მსოფლიოს მოწინავე გუნდების ნახვამ, ბუნებრივია, პარალელების გავლების სურვილიც დაბადა.

საქართველოს ჩემპიონატის ჩატარება რომ აუცილებელი და გამართლებული იყო, ამაზე დღეს აღარავინ დავობს, თუმცა თავიდან ბევრი არ იყო სასიკეთოდ განწყობილი, მათ შორის სპეციალისტებიც. ეგაა, ჩვენი დღევანდელი საფეხბურთო ფონი არ გამოდგება საიმისოდ, რომ სერიოზულად ვიმსჯელოთ ჩვენი ფეხბურთის წარმატებაზე.

პირველი, რაც ჩემპიონატის მხილველს ეცემა თვალში, ესაა თამაშის ძალიან ნელი ტემპი (იშვიათი გამონაკლისების გარდა). ნელა სრულდება ყველა საფეხბურთო ელემენტი, ფეხბურთელები დიდხანს ყოვნდებიან მოედნის ცენტრში და გადაწყვეტილების მისაღებადაც დიდი დრო სჭირდებათ. აშკარად გასაუმჯობესებელია ფიზიკური მომზადების დონე, მეორე ტაიმში რგოლებს შორის კავშირები ხშირად მთლიანად წყდება, მცველები თავიანთი საჯარიმოდან ვერარ ამოდიან ცენტრამდე, თავდამსხმელები კი პირიქით. ყველას, ვინც ჩვენ საფეხბურთო ცხოვრებაშია ჩახედული, მოეხსენება, რომ არსებობს მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორი. ომები, ეკონომიური სიდუხჭირე, ინვენტარის უქონლობა... ეს, ცხადია, გასაგებია, მაგრამ არსებობს სუბიექტური მიზეზებიც, რომელნიც აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას. ბავშვთა ფეხბურთშიც და პირველი ჯგუფის გუნდებშიც ბევრია შემთხვევით მოხული, არაკომპეტენტური ხალხი, რომელთაც, ბუნებრივია, არ შეხწევთ უნარი, ხელი შეუწყონ ჩვენი ფეხბურთის განვითარებას. ძალზე სამწუხაროა ისიც, რომ ზოგჯერ საქმე იმგვარადაა აწყობილი, მწვრთნელების საქმიანობა სულ სხვა კრიტერიუმებით ფასდება. ეს რა თქმა უნდა, ყველაზე არ ითქმის. ფეხბურთის დიდი შრომა, თავდაუზოგაობა სჭირდება მწვრთნელისგანაც და ფეხბურთელისგანაც. ფეხბურთელები, უწინარეს ყოვლისა, უნდა გახდნენ კარგი ათლეტები, მხოლოდ ამის შემდეგ, მათი ტექნიკურ-ტაქტიკური პოტენციალის გათვალისწინებით, შეიძლება სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი. მოთამაშეები ერთნაირად სწრაფად უნდა მოძრაობდნენ როგორც თამაშის შესამე წუთზე, ისე 87-ზეც. ამ ჩემპიონატზე მოწმენი ვიყავით იმისა, თუ როგორ წარმატებით იყენებდნენ გუნდები პრესინგს, რომლის მეშვეობით საბოლოო მიზანსაც აღწევდნენ. ჩვენს ფეხბურთში კი ეს ელემენტი საერთოდ არ გვხვდება. ჩვენი ფეხბურთელების დიდი ნაწილი უბურთოდ თამაშის უცადინარობაც. მოგეხსენებათ, 90 წუთის მანძილზე ფეხბურთელი დაახლოებით 1 წუთია ბურთთან კონტაქტში, დანარჩენ დროს კი უბურთოდ უწევს მოძრაობა და ამ გადაადგილებებს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ტაქტიკის თვალსაზრისით. მაგრამ ფეხბურთელების ბრალი აქ ძალზე უმნიშვნელოა, რადგან ჭაბუკთა გუნდებში ეს მათ ვერ ასწავლეს, იმას კი, რაც ბავშვთა ფეხბურთში უნდა მიგეღო და ვერ მიიღე, ზეღარასდროს აინაზღაურებ. იშვიათად იქმნება ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობაც, არადა, ეს ძალზე საჭირო სათამაშო ელემენტია, რომელიც არამარტო მეტოქის შეტევებს აბერებს, არამედ ფსიქოლოგიურადაც მოქმედებს მათზე. ერთი სიტყვით, სამუშაო ძალზე ბევრია. ეს უმთავრესად კლუბების მწვრთნელებს ეხებათ — სწორედ მათი საქმეა ფეხბურთელების სათანადო ტექნიკურ-ტაქტიკური და ფიზიკური მომზადება, რადგან ნაკრებში არ არის ამის შესაძლებლობა, მოთამაშეები ხომ ძალიან მცირე დროით არიან ნაკრების ხელმძღვანელთა განკარგულებაში! იქ უფრო კონკრეტული თამაშისათვის მზადებით არიან დაკავებულნი.

ჩვენი ფეხბურთელების ბუნებრივი ნიჭი და, იმედია, მწვრთნელთა გულმოდგინე მუშაობა, საბოლოო ჯამში მივგიყვანს იმ სიმაღლემდე, რომელსაც დიდი ფეხბურთი ჰქვია, ფეხბურთი ხომ უფრო მეტია ჩვენთვის, ვიდრე უბრალოდ თამაში.

გია გილიგაშვილი

სტატისტიკა

52 შეხვედრაში გავიდა 141 გოლი, რაც საშუალოდ 2,71 გოლს შეადგენს.

პირველ ტაიმში გავიდა 66 გოლი, მეორეში — 72, დამატებითი დროის პირველ ტაიმში — 2, მეორეში — 1.

52 მატჩიდან 11 დამთავრდა ფრედ (21,1 პროცენტი), მათ შორის 3 შეხვედრაში ანგარიში არ გახსნილა. სულ 12 სხვადასხვა ანგარიში აღინიშნა, მათ შორის 1:0 და 2:1-ით დამთავრდა 10-10 მატჩი, დიდი ანგარიშით დამთავრდა 8 შეხვედრა. ვერცერთმა გუნდმა ვერ შეძლო ორი მატჩის მოგება 3 და მეტი ბურთის სხვაობით. ყველაზე უხვგოლიანი შეხვედრა იყო რუსეთი — კამერუნი 6:1.

ერთ მატჩში 5 გოლი გაიტანა სალენკომ (რუსეთი), 3 — ბატისტუტამ (არგენტინა). 2-2 გოლის გატანა ფეხბურთელებმა შეძლეს 14-ჯერ, მათ შორის რადუჩოუმ (რუმინეთი) და რ.ბაჯიომ (იტალია) ეს გააკეთეს 2-2-ჯერ.

ბომბარდირებს წინა ნომერში გაეცანით. 2-2 გოლი გაიტანეს: ადრიან ენუპმა (შვეიცარია), ადოლფო ვალენსიამ (კოლუმბია), ილიე დუმიტრესკუმ (რუმინეთი), რუდი ფიოლერმა (გერმანია), ხუან ანტონიო გოიკოეჩეამ (ესპანეთი), მიუნ ბო ხონმა (კორეა), კლაუდიო კანიჯამ (არგენტინა), ემანუელ ამუნიკემ, დანიელ ამოკაშიმ (ნიგერია), იორდან ლეჩკოვმა (ბულგარეთი), დინო ბაჯიომ (იტალია), ლუის გარსიამ (მექსიკა), ფილიპ ალბერმა (ბელგია), ვიმ იონკმა (ჰოლანდია), ანვარ ამინმა (საუდის არაბეთი).

საშუალო შედეგიანობა. წინასწარი ეტაპი — 93 გოლი (36 მატჩი, საშუალოდ 2,58). მერვედფინალი — 25 გოლი (8 მატჩი; საშუალოდ 3,13), მეოთხედფინალი — 15 (4; 3,75), ნახევარფინალი — 4 (2; 2,00), I და III ადგილებისათვის მატჩები — 4 (2; 2,00).

განაცხადებში შეყვანილი 528 ფეხბურთელიდან ითამაშა 427-მა, აქედან 81-მა გოლი გაიტანა, მათ შორის ერთმა საკუთარ კარში. ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებიდან ყველაზე ხნიერი და ყველაზე ახალგაზრდა ერთი ქვეყნიდან — კამერუნიდან იყვნენ: როჟე მილას 20 მაისს შეუსრულდა 42 წელი, ხოლო როგობერ ბაპანგა სონგის 1 ივლისს 18. განცხადებაში შეყვანილი 69 ჰავარიდან ითამაშა მხოლოდ 34-მა. სამიე გოლკიპერი მხოლოდ სპერმნეთმა გამოიყვანა.

7-7 მატჩი შეუცვლელად ითამაშა 11-მა ფეხბურთელმა: ტაფარელმა, პარხიო სანტოსმა, ბებეტომ, რომარიომ (ყველა ბრაზილია), რაველიმ, რ.ნილსონმა, ჰ.ანდერსონმა, ბროლინმა (ყველა შვედეთი), ხუბნერმა, ბალაკოვმა (ორივე ბულგარეთი), მალდინიმ (იტალია).

528 ფეხბურთელიდან 524 გამოდიოდა 35 ქვეყნის კლუბებში. ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავდათ: ესპანეთის კლუბებს — 44 ფეხბურთელი, იტალიის — 44, გერმანიის — 39, ინგლისის — 36 (მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატში არ მონაწილეობდა). არცერთი ირლანდიელი ფეხბურთელი არ თამაშობდა თავისი ქვეყნის კლუბებში. 19 ლეგიონერი ჰყავდა ნიგერიას, 14 — ნორვეგიას, 13 — ბულგარეთს. არცერთი ლეგიონერი არ ჰყავდათ — ესპანეთს, საბერძნეთს, იტალიას და საუდის არაბეთს. იტალიის „პარმას“ 5 ნაკრებში ჰყავდა ფეხბურთელები.

მსაჯების მიერ დანიშნული 15 პენალტიდან ყველა რეალიზებულ იქნა. 3 იერთმეტმეტრიანი გაიტანა სტოიჩკოვმა (ბულგარეთი), 2-2 სალენკომ და ბატისტუტამ.

ჩემპიონატს მოემსახურა 24 არბიტრი და 22 გვერდითი მსაჯი. 4-4 მატჩი ჩაატარეს არბიტრად შ.პულმა (უნგრეთი), ჟ.კინიუმ (სურინგეთი), ხ.ტორესმა (კოლუმბია), 3-3 ჯ.ალ შარიფმა (სირია), შ.ვან დერ ენდემ (ჰოლანდია), ა.ტეხადამ (პერუ), ა.ბ.კარტერმა (მექსიკა), რ.ბადილამ (კოსტა რიკა). ყველაზე მკაცრად სჯიდნენ: ჟ.კინიუ — 19 გაფრთხილება, 3 გაძევება, 3 პენალტი, ა.ბ.კარტერი — 19 გაფრთხილება, 3 გაძევება, 1 პენალტი, ჯ.ალ შარიფი — 16 გაფრთხილება, 2 გაძევება, 2 პენალტი, ხ.ტორესი — 18 გაფრთხილება, 1 გაძევება, 1 პენალტი. ერთ-ერთი ყველაზე ლმობიერი არბიტრი იყო ფინალური მატჩის მსაჯი შ.პული, რომელმაც ოთხ მატჩში გაფრთხილა 11 ფეხბურთელი (არც გაუძევებია ვინმე და არც პენალტი დაუნიშნია). ყველაზე კორექტული იყო ჰოლანდია — ირლანდიის შეხვედრა (არბიტრი დანიელი პ.მიკელსენი), რომელშიც მხოლოდ ერთი ფეხბურთელი გაფრთხილეს. ყველაზე არაკორექტული შეხვედრები იყო იტალია — ნიგერია (არბიტრი ა.ბ.კარტერი) — 10 გაფრთხილება, 1 გაძევება, 1 პენალტი, ბულგარეთი — მექსიკა (არბიტრი ჯ.ალ შარიფი) — 7 გაფრთხილება, 2 გაძევება, 1 პენალტი.

ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის ერთ ჯგუფში მოსაპარაზეოდაგან ყველაზე უკეთ გამოვიდნენ B ჯგუფის წარმომადგენლები — ბრაზილია და შვედეთი, რომლებიც შესაბამისად ჩემპიონები და მესამე პრიზიორები გახდნენ, ხოლო შესარჩევი ჯგუფებიდან ევროპის VI შესარჩევი ჯგუფის წვერები — ისევ შვედეთი და ბულგარეთი, რომელიც მეოთხე ადგილზე გავიდა.

რეკორდ შენგელია

	თ (დ.დ.)	მ	ფ	წ	ბურთები	ბურთები (საშუალოდ)	მოთამაშე (მეკარე)	გოლის ავტორი	პენალტი +	პენალტი -	გაძ.	გაფ.
ბრაზილია	7(1)	5	2	0	11-3	1,57-0,43	18(1)	5	1	0	1	8
იტალია	7(2)	4	2	1	8-5	1,14-0,71	20(2)	3	1	1	2	12
შვედეთი	7(1)	3	3	1	15-8	2,14-1,14	18(1)	6	1	1	2	13
ბულგარეთი	7(1)	3	1	3	10-11	1,43-1,57	17(2)	4	3	2	2	19
გერმანია	5	3	1	1	9-7	1,80-1,40	18(1)	4	1	0	-	11
რუმინეთი	5(1)	3	1	1	10-9	2,00-1,80	17(2)	4	0	1	1	11
ჰოლანდია	5	3	0	2	8-6	1,60-1,20	17(1)	5	0	0	-	11
ესპანეთი	5	2	2	1	10-6	2,00-1,20	20(2)	7	2	0	1	13
ნიგერია	4(1)	2	0	2	7-4	1,75-1,00	17(4)	5	0	1	-	10
არგენტინა	4	2	0	2	8-6	2,00-1,50	17(2)	4	2	0	-	9
ბელგია	4	2	0	2	4-4	1,00-1,00	17(1)	3	0	0	-	6
საუდის არაბეთი	4	2	0	2	5-6	1,25-1,50	17(1)	4	1	0	-	9
მექსიკა	4(1)	1	2	1	4-4	1,00-1,00	18(1)	3	1	0	1	10
აშშ	4	1	1	2	3-4	0,75-1,00	15(1)	2	0	0	1	7
შვეიცარია	4	1	1	2	5-7	1,25-1,75	17(1)	4	0	1	-	8
ირლანდია	4	1	1	2	2-4	0,50-1,00	17(1)	2	0	0	-	8
ნორვეგია	3	1	1	1	1-1	0,33-0,33	16(1)	1	0	0	-	5
რუსეთი	3	1	0	2	7-6	2,33-2,00	22(2)	2	2	2	1	8
კოლუმბია	3	1	0	2	4-5	1,33-1,67	16(1)	3	0	0	-	7
კორეა	3	0	2	1	4-5	1,33-1,67	16(2)	3	0	0	-	6
ბოლივია	3	0	1	2	1-4	0,33-1,33	18(1)	1	0	1	2	6
კამერუნი	3	0	1	2	3-11	1,00-3,67	18(2)	3	0	1	1	5
მაროკო	3	0	0	3	2-5	0,67-1,67	19(2)	2	0	1	-	10
საბერძნეთი	3	0	0	3	0-10	0,00-3,33	22(3)	-	0	3	-	8

მ ი ზ ა ნ ი: მსოფლიოს ჩემპიონობა

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წარმოდგენა ფარიკაობაზე მხოლოდ ფრანგული კინოდუელების, მეტადრე კი „სამი მუშკეტერის", ნახვით ამოინურება, მაინც არ დავფიქრებულვარ იმაზე, გამებედა თუ არა გავსაუბრებოდი 19 წლის ქუთაისელ გოგონას მაკა მაღლაფერიძეს, რომელმაც ათენში, მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში იასპარეზა. უდავო იყო, შანსი არ უნდა გამეშვა ხელიდან, მაგრამ საფიქრებლად ის გადამექცა, რით დამენყო საუბარი...

— მაკა, დამეთანხმები, ფარიკაობა ის სპორტის სახეობა არ არის, ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი რომ იყოს, ისე, როგორც ფეხბურთი ან თუნდაც კალათბურთი. მით უფრო საკვირველია, როგორ მოხდა, რომ სუსტი სქესის წარმომადგენელმა „ალი ხელში მახვალა"?

— ბავშვობაში ჩემი მეზობელი დადიოდა ფარიკაობაზე და ვარჯიშზე მარტო წასვლა ეზარებოდა. ერთხელაც წავყევი და, როცა დარბაზში შევედი, იქ ჩემი მეზობელი, მწვრთნელი გარ მეშვეოლიანი დამხვდა. იგი ახლა ჩემი აღმზრდელია და დიდადაც ვუმადლი ჩემს წარმატებებს. მაშინ 12 წლის ვიყავი და ფარიკაობას დიდ აღტაცებაში არ მოქუყვანივარ. უფრო სწორად, საერთოდ არ მომეწონა, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ისევ წავყევი ჩემს მეგობარ. ახლა უკვე სპარტაკიადაზე საგულ შეკვეთოდ. შეჯიბრი ორ დღეს მიმდინარეობდა და ისე ჩამითრია, რომ საბოლოოდ ეს სახეობა ვირჩიე.

მწვრთნელმა ვარჯიშის დაწყება შემომთავაზა, ოჯახის წევრებმა კი უარი მითხრეს და მთელი წელი ჩუმად დავდიოდი სავარჯიშოდ. ვამბობდი, მასწავლებელთან მივდივარ-თქო და სახლიდან ადრე გამოსული ფარიკაობის სპორტული სკოლის დარბაზს ვაკითხავდი.

— ეს საქმე, ალბათ მაშინ გასკდა, როცა პირველ წარმატებას მიაღწიე. როდის იყო ეს?

— ვარჯიშის დაწყებიდან ერთი წლის თავზე. ქუთაისში იმერეთის რეგიონალური ჩემპიონატი ტარდებოდა და გავიმარჯვე. შეჯიბრების პრიზიორებს თბილისში გზავნიდნენ და იძულებული გავხდი ყველაფერი გამემხილა სახლში. თბილისში, საქართველოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დავიკავე და საქართველოს ნაკრების კანდიდატობასაც გამოვკარი ხელი, 1988 წელს ეკატერინბურგში გამართულ საერთაშორისო ტურნირზეც გავიმარჯვე და აქედან მოყოლებული ექვსი წლის მანძილზე 100-მდე ტურნირში ან პრიზიორი ვხდებოდი ან ფინალში ვასპარეზობდი. ხუთი წლის მანძილზე საქართველოს უცვლელი ჩემპიონი ვარ და უკვე ოჯახშიც თავგამოდებით მჭიმაგობენ.

— ვხვდები, საკითხავი აღარაა, როგორ მოხვდი ათენში, მსოფლიოს ჩემპიონატზე, მაგრამ უფრო დაწვრილებით ისუბრე ბერძნულ „ოდისეაზე".

— საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ საქართველოს ჩემპიონები, მე (რაპირაში) და ბათუმელი რუსუდან გოგიავა (დაშნაში) მსოფლიო ჩემპიონატზე წარგვადგინა. ათენში რუსეთის მწვრთნელი გიორგი ცნობილაძე გვახლდა. ჩემი წასვლა ქუთაისის მერიის, კერძოდ მისი აპარატის უფროსის თემურ ლოლაძის თხოვნით „ინდუსტრიაბანკმა" დააფინანსა. 500 დოლარი გამოყო ამ ბანკის მმართველმა თემურ ნიკოლაძემ. ამისთვის მათ დიდ მადლობას ვუხდი.

— ვფიქრობ, საუკეთესო სამადლობელი შენი გამოსვლა იყო იმ ასპარეზობაზე. როგორ ჩაიარა ორთაბრძოლებმა?

— ათენში დაგვიანებით ჩავედი. 3 ივლისს ღამის პირველის ნახევარზე ჩავფრინდი, მაშინ, როცა უშუალოდ ჩემი ბრძოლა 4 ივლისს უნდა დაწყებულიყო. თავდაპირველად ჯგუფებად დაგვყვეს და ჩვენს ჯგუფში 7 სპორტსმენი მოვხვდით. დაგვიანების გამო გაფლილი არ მქონდა მარკირება და ორი ბრძოლა 0:3-დან დამაწყებინეს. მათი მოგება შეუძლებელი იყო. სამაგიეროდ, მოვიგე შემდეგი სამი შეხვედრა და ჯგუფიდანაც გავედი. თუ ჩვენსა და უცხოელების მომზადების დონეს გავითვალისწინებთ, ეს სრულიად მოულოდნელი იყო. ჩემი წასვლის წინ ბევრი თვლიდა, რომ მე ჯგუფიდანაც ვერ გავდოდი, თუმცა ბრძოლა გავაგრძელე და მოვხვდი 16 უძლიერესს შორის, საფარიკაო ენით რომ ვთქვათ, ნახევარფინალში გავედი, სადაც გადამწყვეტი ბრძოლა წავაგე იტალიელთან ანგარიშით 14-15. ამის შემდეგ ჩატარდა ტურნირი, სადაც გავიმარჯვე, თუმცა ამ ტურნირს დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

— გარდა ამ შედეგისა, ალბათ, მნიშვნელოვანი იყო უცხოელ მეტოქეებთან ბრძოლაში მიღებული გამოცდილება.

— რა თქმა უნდა, ჩვენ ხომ ბოლო ხანს არათუ უცხოელებს, ერთმანეთსაც ვეღარ ვხვდებოდით. ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტს მორის სახვაძეს.

— ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და, მიზნები უფრო ამბიციური გაგიხდებოდა, ვიდრე აქამდე.

— რატომაც არა! მე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი უნდა გავხდე. ამისთვის კარგი მომზადებაა საჭირო. ევროპის ჩემპიონატი პოლონეთში გაიმართება ნოემბრის დამდეგს, მსოფლიო ჩემპიონატს კი გაისად ჰოლანდია ან გერმანია უმასპინძლებს.

...მიძნელდება ექვის შეტანა იმაში, რომ მაკა მაღლაფერიძე თავის მიზანს ვერ მიაღწევს. თუ მის წარსულს გადავხედავთ და აწმყოსაც გავითვალისწინებთ, რატომ არ უნდა გვჯეროდეს, რომ წელს „სამას ათენელში" 16 საუკეთესოს შორის მოხვედრილი მალე ამ ლეგიონს სათავეში მოექცევა. მისი შემართების პატრონი ამას აუცილებლად მიაღწევს.

ვახტანგ ბზიკაძე,
გაზეთი „ბურთი და მოედანი",
საგანგებოდ „სარბიელისთვის"

ამ ხალხს ფული არ მოსწონს

კიევში გამართულ ახალგაზრდა (18 წლის) კეტბურთელთა ევროპის ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა 8 გუნდს შორის მეორე ადგილი დაიკავა. დაგვეთანხმებით, თვალსაჩინო წარმატებაა. თბილისში დაბრუნებისთანავე შევხვდით ნაკრების უფროს მწვრთნელს ნუგზარ კაპანაძეს, საქართველოს კეტბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს გელა ჩიხრაძეს და ვთხოვეთ ეამბნათ ასპარეზობის შესახებ:

— ჩემპიონატში მასპინძლებთან ერთად გამოდიოდნენ ავსტრიის, შვეიცარიის, გერმანიის, რუმინეთის, პოლონეთის, რუსეთისა და საქართველოს ნაკრებები. სამდღიანმა გადაუღებელმა წვიმამ წინასწარ შედგენილი წრიული კალენდარი არია და მსაჯთა კოლეგიაც იძულებული შეიქნა დაკარგული დროის ასანაზღაურებლად შეჯიბრება სხვა სისტემით ჩაეტარებინა. კერძოდ, ერთი თამაშის წაგებითაც კი გუნდი კარგავდა პირველობის შანსს და მხოლოდ მესამე ადგილის იმედიღა რჩებოდა. ამან კიდევ უფრო დაძაბა სატურნირო სიტუაცია. მოეწყო ხელახალი კენჭისყრა, რომელმაც პირველ მეტოქედ რუმინელები გვარგუნა.

შეჯიბრებამდე, ცოტა არ იყოს, გვეშინოდა, რადგან შარშან ამერიკაში ორკვირიანი ტურნედან დაბრუნების შემდეგ მთელი წელი ბიჭებს ერთხელაც არ უთამაშიათ და მხოლოდ ვარჯიშით იფარგლებოდნენ. მაგრამ უკვე სადებიუტო მატჩმა დაგვანახვა, რომ გუნდი ფსიქოლოგიურადაც და ტექნიკურადაც სხვებზე ნაკლებად არ იყო მზად. რუმინელებთან სანერვიულო მხოლოდ შეხვედრის დასაწყისი იყო, მერე კი აშკარა გახდა ჩვენი ბიჭების უპირატესობა — 15:0. მეორე მატჩი გერმანიის ნაკრებთან უფრო დაძაბული გამოდგა, თუმცა ბოლოს ისიც ჩვენი გამარჯვებით დასრულდა — 9:6. მომდევნო წრეში მასპინძელთა ძლიერ გუნდთან მოგვიწია შეხვედრა. უკრაინელი ჭაბუკები ჯანიანებიც არიან და მშვენივრადაც ერკვევიან რთულ სათამაშო სიტუაციებში. აღსანიშნავია, რომ მათ, ისევე როგორც ჩემპიონატის თითქმის ყველა მონაწილეს (რუსეთისა და საქართველოს გარდა) ამერიკელი მწვრთნელი ყავთ. ამას საკუთარი კედლების ფაქტორიც დაემატა და ჩვენებს ერთიორად უფრო რთულ ვითარებაში მოუხდათ თამაში. მატჩი უკრაინელთა შეტევებით დაიწყო და მალე ისინი დაწინაურდნენ კიდეც — 2:0, 4:2. მაგრამ ქართველმა კეტბურთელებმა დროზე აუღეს ალღო მეტოქის თამაშს, თავად უფრო მწვავედ და ზუსტად შეუტიეს, შეძლეს ამ მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრის მოგება — 11:6 და ფინალში გავიდნენ.


ამერიკელებმა ნიკა ბეჟუაშვილს თვალი დაადგეს

რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ ფინალური მატჩი ჩვენმა ბიჭებმა ენერგიულად დაიწყეს და ერთი პირობა წინაც იყვნენ — 3:0. მაგრამ აშკარად იჩინა თავი ჩვენი სათადარიგო სკამის სიმოკლემ. მთელი ტურნირის დაძაბულობამ პრაქტიკულად სულ ცხრა მოთამაშეზე გადაიარა, მაშინ, როდესაც იგივე რუსებსა და უკრაინელებს შემადგენლობაში 25-25 სპორტსმენი ჰყავდათ. დაღლილმა გუნდმა ბოლომდე ვერ შეძლო ძლიერ მეტოქესთან გამკლავება და დავმარცხდით — 3:11. მესამე ადგილზე გავიდა უკრაინის ნაკრები, რომელმაც ბოლო მატჩი გერმანელებს მოუგო — 12:9.



ეს იყო საქართველოს კეტბურთელთა ნაკრების პირველი ოფიციალური ტურნირი საერთაშორისო სარბიელზე და ძალზე სასიხარულოა, რომ ასე წარმატებით დამთავრდა. შეჯიბრებას ესწრებოდნენ აშშ-ის უმაღლესი ლიგის გუნდების „ატლანტა ბრეივსისა" და „კალიფორნია ენჯელსის" სელექციონერები. ორივეს ძალზე მოეწონა ჩვენი პიჩერების ნიკა ბეჟუაშვილისა და სანდრო ისაკაძის თამაში. სტუმართა აზრით, ჩვენი ბიჭები სხვა გუნდების ამ ამპლუის ყველა მოთამაშეს სჯობდნენ. მსაჯთა კოლეგიამ საქართველოს ნაკრებში საუკეთესოდ დაასახელა მეორე ბაზის მოთამაშე იოსებ გოგიშვილი. ისე კი, რა თქმა უნდა, ყველას თამაშით კმაყოფილი ვართ. ამ სამეულის გარდა გუნდში არიან: კოტე ებანოიძე, ირაკლი წვერავა, ირაკლი ახალაძე, ირაკლი ხომასურიძე, გიორგი შველიძე, ალექსანდრე ვაშაკიძე, ნიკა ნაცვლიშვილი, გიორგი ბეჟუაშვილი, ვასილ ქალდანი, მამუკა ხარანაული, ავთანდილ ჭკუასელი და გაბრიელ პაპიძე.

ბოლოს, ორგანიზაციულ საკითხებსაც გვინდა შევეხოთ. ჩემპიონატში საქართველოს ნაკრების მონაწილეობა დააფინანსა ფირმა „კოკა-კოლამ" (პრეზიდენტი თეიმურაზ ჭყონია) და საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულმა ასოციაციამ (პრეზიდენტი რევაზ სულავა). მათი მატერიალური ხელშეწყობა რომ არა, კიევში გამგზავრება ვერ მოხერხდებოდა. ერთი თვის შემდეგ ქართველ კეტბურთელებს კიდევ უფრო რთული გამოცდა ელით — აგვისტოს ბოლოს ლიუბლიანაში (სლოვენია) „დიდების" ევროპული ჩემპიონატი იწყება. ნაკრების კიევურ ვარიანტს რამდენიმე მოთამაშე დაემატება. მაგრამ უფულობის გამო ამჯერადაც სათუოა შეჯიბრებაზე გამგზავრება. თუმცა, იმედია, ბოლოსდაბოლოს თანხა გამოინახება და გუნდი „შორეულ უცხოეთსაც" ეწვევა.

«ბატონი სამმაგი დუბლი», «მკვლელი», «მონსტრი» და ახალი რობინსონი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მორიგი დრაფტი ინდიანაპოლისის „პუსიერ დოუმში“ გაიმართა. მას ისტორიული თუ არა, საეტაპო მნიშვნელობა აუცილებლად ექნება, რადგან ამდენი ნიჭიერი ახალბედას ერთბაშად მოზღვავება კარგა ხანი არ უნახავს პროფესიულ კალათბურთს. და ეს მაშინ, როცა დიდი სპორტი დატოვეს თანამედროვეობის უდიდესმა ვარსკვლავებმა (ნლეუულს ჯონსონს და ჯორდანს შეემატნენ თომასი, ბარკლი, პერიში და მოზეს მელოუნი). ამის გამო გაჩენილი ერთგვარი ვაკუუმის შევსებას სწორედ მათგან მოელიან, ვისზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.



გლენ რობინსონი

ერიკ მონტროსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიდან თავად დრაფტის შესახებ. იგი NBA-ის შექმნისთანავე გაჩნდა და მიზნად ისახავს სტუდენტურ ან სხვა გუნდებში დაკავკაცებულ მოთამაშეთა გადანაწილებას პროფესიულ კლუბებში. ადრე დრაფტის პრინციპი მარტივი იყო: ჩემპიონატში ბოლო ადგილზე გასული კლუბს უფლება ჰქონდა აერჩია დრაფტში პირველ ნომრად განთესილი კალათბურთელი, ბოლოდან მეორეს — რიგით მეორე და ა.შ. ასოციაციის იმჟამინდელ ჩემპიონს კი პირველი წრის უკანასკნელ ნომრად განთესილი მოთამაშე ერგებოდა. შემდეგ მოდიოდა მეორე წრე და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. მაგრამ მოგვიანებით მონსტერი აირია: მაჩაჩალა კლუბებმა დრაფტში პირველი არჩევანის მოსაპოვებლად სპეციალურად დაიწყეს ჩალიჩი ბოლო ადგილზე გასვლისთვის. ისინი ძალად აგებდნენ, რაც თამაშების ხარისხს აქვითებდა, ეს კი მაყურებელთა და, აქედან გამომდინარე, ასოციაციის შემოსავლის კლებას იწვევდა. NBA-ის ახალმა კომისარმა, რეფორმატორმა დევიდ შტერნმა ზოგიერთებს ცულლუტობა გაუშიფრა და დიდი ჯარიმებიც დაადო. თანაც, დრაფტის კანონები შეცვალა. იგი ამას არ დასჯერდა და წლეულს ახალი, თითქმის იდეალური ამორჩევის პრინციპი შეშიღო. სიახლის შესახებ დეტალური თხრობა არ ღირს, რადგან მისი ბოლომდე გაახრებისთვის მინიმუმ მათემატიკოსის დიპლომი უნდა გქონდეს. ხოლო თუ წინასწარ გინდა გაიხერხო პირველი არჩევანის უფლება, აინშტაინზე ნაკლები არ უნდა იყო.

ჰოდა, მხოლოდ „რულეტკის“ ისარს მინდობილმა კლუბების წარმომადგენელმა ერთად იხილეს, თუ როგორ მიეცა „მილუოკი ბაქსს“ ნება, პირველს აერჩია ნებისმიერი მოთამაშე. „მილუოკიმ“ ყოველგვარი ყოყმანის და ხრიკების გარეშე დრაფტის პირველ ნომერს, პერდიუს უნივერსიტეტის თავდასხმელს გლენ რობინსონს (22 წლის, 105 კგ, სიმაღლე მოცემულია ცხრილში) სტაცა ხელი. რობინსონი ერთადერთი ვარსკვლავი იყო თავის უნივერსიტეტში. მასზე ამბობდნენ, რომ იგი „მომავალი კრის ვებერია,“ ოღონდ შარშანდელი დრაფტის პირველ ნომერზე (ამჟამად გოლდენ სტეიტელ ვებერზე) გაცილებით ძლიერი. იგი გახლავთ მოთამაშე — რობოტის კლასიკური ნიმუში, ოღონდ რობოტისგან განსხვავებით კრიტიკულ სიტუაციაში ტვინსაც კარგად ამოძრავებს. ეჭვგარეშეა, მისი საშუალო მონაცემების პატრონს (მატჩში 28,7 ქულა, 11,3 მოხსნა) ნებისმიერი კლუბი ინატრებდა. იგი „ბაქსს“ ერგო და გახდება ასოციაციაში ამჟამად მოთამაშე რობინსონთა გვარის მეხუთე წარმომადგენელი — დევიდის, კლიფის, რუმელის და ჯეიმსის შემდეგ.

დრაფტი თავდაპირველი წესით რომ ჩატარებულიყო, რობინსონს დაისაკუთრებდა „დალას მავერიქსი“, რომელმაც რეგულარული სეზონი ბოლომდ დასრულა. ახალმა წესმა კი ამ გუნდს მეორე არჩევანი არგუნა. ტეხასელებმა თავის რიგებში კალიფორნიელი ჯეისონ კიდის (21 წლის, 93 კგ) აყვანა ისურვეს. საუნივერსიტეტო კალათბურთის საუკეთესო გამთამაშებელმა „ბატონი სამმაგი დუბლის“ მეტსახელი დაიგდო, თანაც დიდებული პასის მიმცემი და კალიფორნიის უნივერსიტეტში ყველა დროის მეორე ასისტენტია. პირველი კი „ფინიქსის“ განთქმული მცველი და პასების დიდოსტატი კევინ ჯონსონია. ამრიგად, „დალასში“ თავი მოიყარეს ბოლო ორი წლის დრაფტების ორმა მეოთხე ნომერმა (ჯიმ ჯექსონი და ჯამალ მაშბურნი) და წლევანდელმა მეორე ნომერმა. თუმცა „მავერიქსს“ ისე საფუძვლიანად უჭირს, რომ მისი წუმპედან ამოთრევა მეტად გაძნელდება.

თუ კიდი კალიფორნიის გუნდის მეფე იყო, უფლისწულობას ნამდვილად იმსახურებდა ფრთა ლემონდ მიურეი (21 წლის, 100 კგ). დაბვწილმა ნახტომში სროლებმა და იშვიათმა ენერგიულობამ მას „ლოს-ანჯელეს კლიპერზის“ მაისური არგუნა. თუ დომინიკ ვილკინსი ამ კლუბში დარჩა, მას ღირსეულად დუბლიორი ეყოლება, თუ არა და, ალბათ მიურეი შეუდგება „ვილკინსობისკენ“ მიმავალ ურთულეს გზას.

დიდი ფუნქცია დაეკისრება დიუკის უნივერსიტეტის გამოხრდილ ფრთას გრანტ ჰილს (22 წლის, 98 კგ). ულიდეროდ დარჩენილი „დეტროიტის“ ამორჩეული კალათბურთელი ლიდერადაა დაბადებული, მაგალითად ისიც იკმარებს, რომ კრისტიან ლეიტნერის და ბობი პარლის NBA-ში გადასვლის შემდეგ ჰილმა თავისი მხრებით მიიყვანა „ლურჯი ეშმაკები“ (დიუკის უნივერსიტეტის მეტსახელი) 1993 და 1994 წლების სტუდენტური ჩემპიონატების ფინალებამდე, 1991 და 1992 წლების მიღწევების გაშორება (დიუკი ზედიზედ ორჯერ გახდა ჩემპიონი) ვეღარ შეძლო. იგი მწვრთნელის მაიკ კრაჟეევსკის მარჯვენა ხელი იყო და უნარიც შესწევს თავისი განწყობა გადასცეს მოედანზე მყოფ ნებისმიერ კალათბურთელს. მისი მეტსახელია „სტუდენტთა პაპენი“. სხვათა შორის, დრაფტში ელოდნენ დიუკის უნიჭიერესი ცენტრის ჩეროკი პარკსის გამოჩენასაც. მაგრამ ჩეროკიმ სწავლის გაგრძელება ირჩია და ხვალ სანკტ-პეტერბურგში აშშ-ის ნაკრებს უკაპიტნებს „კეთილი ნების თამაშების“ პირველ მატჩში.

ცენტრებს შორის უპირველესი მეცხრე ნომრად იყო განთესილი და იგი „ბოსტონ სელტიქსმა“ აიყვანა. მას ერიკ მონტროსი (22 წლის, 125 კგ) ჰქვია და მოფერებით „მონსტრს“ ეძახიან. ეს არის იშვიათი ცენტრი. მასში შერწყმულია რობინსონ-ოლაჯუონ-იუინგის არტისტიზმი და ონილ-მურნინგის ფიზიკური ძალა. იგი ფლობს უკლებლივ ყველა საკალათბურთო ელემენტს. გამოელეველი ენერგია მონტროსს საშუალებას აძლევს ყველაფერი გააკეთოს და ეს მას გამოსდის კიდეც. ერიკს შარშანაც შეეძლო გაპროფესიონალება, მაგრამ სწავლის დასრულება ირჩია ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში (ამ სასწავლებლიდან მოვიდა პროფესიულ კალათბურთში მაიკლ ჯორდანი). მონტროსის საშუალო მაჩვენებლები არ არის შთამბეჭდავი — 14,6 ქულა, 8,1 მოხსნა, 2,7 დაფარება. ამის მიზეზი მეტად მარტივია: მწვრთნელი დინ სმიტი ერიკს ყველას გასაკეთებელ საქმეს ავალებდა და ისიც საკუთარი თავისთვის ვეღარ იცლიდა. 1993 წელს მონტროსი NCAA (კოლეჯთა ათლეტების ეროვნული ასოციაციის) ჩემპიონი გახდა, რაც ამერიკის სტუდენტური ჩემპიონობის ტოლფასია. სხვათა შორის, ერიკი თამაშობს „00“ ნომრით და „ბოსტონშიც“ ამ ნომრით მოთამაშის, კალათბურთიდან წლეულს წასული ცენტრის რობერტ პერიშის ადგილს დაიკავებს. მონტროსს „00“ ნომერთან ალბათ შელეკა მოუწევს, რადგან სავარაუდოა, რომ „სელტიქსი“ მას სამუდამო მფლობელობაში გადასცემს პერიშს. ასეა თუ ისე, „ბოსტონი“ კვლავ რჩება თეთრკანიანი მოთამაშეების მოტრფიალე გუნდად (მაგალითისთვის 1986 წლის ლეგენდარული ხუთეული: ოთხი თეთრი — ერთი ზანგი გვყოფა). „ბოსტონმა“ დრაფტის მეორე წრეში კიდევ ერთი თეთრკანიანი დაითრია — რუსი ანდრეი ფეტისოვი. 22 წლის ფეტისოვი ესპანეთის „ფორუმში“ (კალიადოლიდი) თამაშობს. შესაძლოა, „სელტიქსმა“ მას „თავისუფალი აგენტის“ სტატუსი მიანიჭოს და პირველ მოთხოვნამდე კვლავ „ფორუმში“ დიტოვოს, ისევე როგორც ხორვატი სტოიან ვრანკოვიჩი ჰყავს „გაძიძებული“ საბერძნეთის „პანათინაიკოსში“. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. ფაქტი კი ერთია, რომ „ბოსტონი“ პირველ ადგილზეა უცხოელი მოთამაშეების რაოდენობით: ფეტისოვის და ვრანკოვიჩის გარდა მის რიგებში თამაშობენ ხორვატი დინო რაჯა და კანადელი რიკ ფოქსი.

კარგი ცენტრი დაისაკუთრა „სიეტლ სუპერსონიქსმაც“. ტენსი სტეიტის მწვრთნელმა ფრენკი ალენმა ასე დაახასიათა იგი: „კარლოს როჯერსი (22 წლის, 110 კგ) ფარზე თამაშისას ნამდვილი მკვლელია“. როჯერსი თამაშის მარტივ პრინციპს მისდევს: დაცვაში — თავ-პირი ამტვრიე მეტოქეს; შეტევაში — ჩატენე, ჯანდაბას ყოველგვარი სილამაზე! ამისათვის მას ხშირად კარლოს „ჩატენვა“ როჯერსადაც იხსენიებენ. ზეხისტი დაცვის მიმდევარ „სიეტლს“ სწორედ ამგვარი ხისთავიანი აკლდა: აკი ძირითადი ცენტრი მაიკლ კეიჯი ათვალწუნებული ჰყავთ, აქაოდ ზედმეტად იმპროვიზატორობს.

არჩევნით კმაყოფილი უნდა იყოს „მინესოტა ტიმბერვულვზიც“, ვისაც კონექტიკუტელი დონიელ მარშალი (21 წლის, 82 კგ) ერგო. ამ მოთამაშეს აქვს კალიასავით ფეხები და შრომის დიდი უნარი. მისი კონექტიკუტელი აღმზრდელი ჯიმ კოლპუნი ამბობს: „დონიელ მარშალი ყველაზე დიდია მათ შორის, ვისაც ჩვენი უნივერსიტეტის ფორმა სცმია.“ თუმცა მარშალი „მინესოტამ“ აიყვანა, მაგრამ თამაში ახალ ორლეანში მოუწევს. საქმე ისაა, რომ „ტიმბერვულვზი“ მინეაპოლისიდან ამერიკული ჯაზის დედაქალაქში გადაბარგდა. მაგრამ მარშალი ალბათ იქაც კარგ დუეტს შექმნის კრისტიან ლეიტნერთან.

აი, ასეთი გახლავთ დრაფტი-94-ის ამბები. ამ ახალბედებიდან ვინ ივარგებს და ვინ არა, ღმერთმა უწყის. ფაქტი ის გახლავთ, რომ 21-ე საუკუნის კალათბურთი ამათ უნდა ითამაშონ. მოდით, მაინც დავიხსოვოთ ეს სახელები, რადგან თუ ვინმე სუპერვარსკვლავი გახდა, მაშინ გავიხსენებთ, როგორი იყო იგი იმ ფანტასტიკურ სამეფოში შესვლის წინ, რომელსაც NBA ქვია.

მერაბ რატიშვილი

დრაფტი-94

№	კლუბი	მოთამაშე	სიმაღ.	ამპლუა	უნივერსიტეტი
1	მილუოკი	გლენ რობინსონი	205	ფორვარდი	პერდიუ
2	დალასი	ჯეისონ კიდი	193	უკანა ხაზი	კალიფორნია
3	დეტროიტი	გრანტ ჰილი	203	ფორვარდი	დიუკი
4	მინესოტა	დონიელ მარშალი	206	ფორვარდი	კონექტიკუტი
5	ვაშინგტონი	ჯუონ ჰოვარდი	206	ფორვარდი	მიჩიგანი
6	ფილადელფია	შარონ რაიტი	211	ფორვარდი	კლემსონი
7	კლიპერზი	ლემონდ მიურეი	202	ფორვარდი	კალიფორნია
8	საკრამენტო	ბრაიან გრანტი	211	ფორვარდი	ქსავიე
9	ბოსტონი	ერიკ მონტროსი	213	ცენტრი	ჩრდ. კაროლინა
10	ლეიკერზი	ედი ჯონსი	198	უკანა ხაზი	ტემპლი
11	სიეტლი	კარლოს როჯერსი	211	ცენტრი	ტენესი სტეიტი
12	მაიამი	ხალიდ რაივზი	188	უკანა ხაზი	არიზონა
13	დენვერი	ჯელენ როუზი	203	უკანა ხაზი	მიჩიგანი
14	ნიუ-ჯერსი	იინკა დერი	216	ცენტრი	ჯორჯ ვაშინგტონი
15	ინდიანა	ერიკ პატერსონი	198	უკანა ხაზი	ნებრასკა
16	გოლ. სტეიტი	კლიფ როზეი	206	ფორვარდი	ლუისვილი
17	პორტლენდი	აარონ მაკი	196	უკანა ხაზი	ტემპლი
18	მილუოკი	ერიკ მობლი	211	ცენტრი	პიტსბურგი
19	დალასი	ტონი დუმასი	196	უკანა ხაზი	კანზას სტეიტი
20	ფილადელფია	ბი. ჯეი. ტაილერი	186	უკანა ხაზი	ტეხასი
21	ჩიკაგო	დიკ სიმპკინსი	206	ფორვარდი	პროვიდენსი
22	სან-ანტონიო	ბილ კერლი	206	ფორვარდი	ბოსტონ კოლეჯი
23	ფინიქსი	ვესლი პერსონი	198	უკანა ხაზი	ობურნ ჰილზი
24	ნიუ-იორკი	მონტი ვილიაუსი	203	ფორვარდი	ნოტრდამი
25	კლიპერზი	გრეგ მაინორი	198	უკანა ხაზი	ლუისვილი
26	ნიუ-იორკი	ჩარლი ვორდი	196	უკანა ხაზი	ფლორიდა სტეიტი
27	ორლანდო	ბრუქს თომფსონი	193	უკანა ხაზი	ოკლაჰომა სტეიტი

დრაფტის პირველ წრეში არჩევანის უფლება არ ჰქონდათ „შარლოტს“, „იუტას“, „პიუსტონს“, „ატლანტას“, „კლივლენდს“. სხვადასხვა დროს მათ ეს უფლება შესაბამისად დაუთმეს „მილუოკის“, „ფილადელფიას“, „დალასს“, „კლიპერზს“, „ნიუ-იორკს“.

თბილისური ჭორაობის კალათა

თუ საკალათბურთო წრეებში დარხეული ხმების მიხედვით ვიმსჯელებთ, ქართულ კლუბებში მეტისმეტად საინტერესო ამბები ხდება.

კორაჩის თასზე მოსაპარეზე „კაქტუსი“ მნიშვნელოვნად გაძლიერდა. მის რიგებში „თბილისიდან“ დაბრუნდა ლევან ქარაბაკი. აქვე გადმოვიდა „ვითას“ ჯეელი ცენტრი შოთა მაჭარაძე. სამაგიეროდ, გუნდი და კალათბურთი სულ ცოტა ერთი წლით მიატოვა გიორგი ქართველიშვილმა. „კაქტუსის“ უხუცესი მოთამაშე და 24 წლის ახალგაზრდა იურისტი სტაჟირებაზე უნგრეთს გაუგზავრა.

„თბილისს“ ვერა აქვს საქმეები კარგად. ფინანსურმა გაჭირვებამ შესაძლოა მას ბევრი მოთამაშე შემოაცალოს. ამბობენ, ნუგზარ კოკოლიშვილი და გია სანაძე „ვითაში“ გადავლენო. ნიკოლოზ დერიუგინი ჩეხეთში გააგრძელებს კარიერას, ხოლო არჩილ ხელაშვილი ამერიკაში აპირებს სწავლის გაგრძელებას. გუნდის ხელმძღვანელობის თქმით, სხვა კლუბების წარმომადგენლები სარკვლობენ მომენტით და „თბილისის“ მოთამაშეებს თავისთან გადასვლას სთავაზობენ, თუნდაც მხოლოდ ევროთასების დროს. კონკრეტული მაგალითები არ დაუსახელებიათ.

თითქმის დაშლილა „თორსი“, მისი ერთ-ერთი მოთამაშის თქმით, გუნდში ოთხი კალათბურთელი დარჩა: ძმები თორთლაძეები, ხარაძე, ღუღუშაური. ვარჯიშებზეც თურმე ეს ოთხეული დადის.

„დინამოს“ შესახებ ცხადად არაფერია ცნობილი. ისღა შევიტყვეთ, რომ იქ მისვლას რუსთავის „აზოტის“ გამთამაშებელი ზაზა გაბისონია აპირებს. თუ ეს მოხდა, „აზოტი“ ბოლოსდაბოლოს ჭეშმარიტად რუსთაველი კლუბი გახდება, რაკიღა გაბისონია თბილისელია. „დინამო“ დაუტოვებია თავდამსხმელ გურამ ვაშაკიძეს, რომელიც წვრთნას „ვითაში“ გადის.

და ბოლოს, წარმოიშვა წინააღმდეგობა ეროვნული საკალათბურთო ლიგის დაფუძნების ინიციატორთა და კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას შორის. პირველები ამ ორი ორგანიზაციის ხელშეკრულების თანახმად თანამშრომლობას ითხოვენ, მეორენი კი ლიგის ფედერაციაში შესვლას იჟინებენ. ამას ორი მიზეზით ხსნიან: ერთი, ფიბა მხოლოდ ფედერაციასთან ურთიერთობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლიგაში შესული გუნდი ევროთასებზე ვერ ასპარეზობს. მეორეც, ჩვენ უფუნქციოდ ვრჩებით და მარტო ბავშვთა და ქალთა კალათბურთის ამარა, ყოფნა სულაც არ გვსურსო.

ამ ფაქტის კომენტარის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს როლანდ ზომერიკს ვთხოვეთ. მან გვითხრა, რომ წარმოდგენილი ლიგის პროექტი, ასეთი სახით, ფედერაციისთვის მიუღებელია: „ამ პროექტის მიხედვით ყველა ფუნქცია მათ მიაქვთ, ჩვენ კი პასუხი უნდა ვაგოთ კალათბურთზე მთავრობის, ხალხისა და რეპუბლიკის წინაშე. რისი ჩემპიონატი იქნება ეს — საქართველოსი თუ ამ ლიგის — შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების? ფიბა ცნობს მხოლოდ ერთ ორგანიზაციას: საქართველოს კალათბურთის ფედერაციას და თუ ისინი ფედერაციის გარეთ დარჩებიან, ევროპაში გასასვლელი გზა გადაეკეტებათ. თუ ფედერაციაში შემოვლენ, მაშინ ჩვენ მათი საქმიანობა უნდა გავაკონტროლოთ, რადგან პასუხისმგებელნი ვართ ფედერაციის ყველა წევრზე. მით უმეტეს, თუ მათ პასუხისმგებლობა შეზღუდული აქვთ. უდიდესი სამუშაოა ჩასატარებელი საიმისოდ, რომ ეს უდაოდ კარგი იდეა დაიხვეწოს და იხე ჩამოყალიბდეს, ქართული კალათბურთის განვითარებას უეჭველად რომ წაადგეს.“

ჭორები ბოლო წამს შევიტყვეთ და ყველა მადანის გადამოწმება ვეღარ მოვასწარით. დაწვრილებით ცნობებს კი უახლოეს ნომრებში შემოგთავაზებთ.

ორი «მეიჯორიც»

ორი წლის მანძილზე გოლფის ცოცხალ ლეგენდას, ესპანელ სევერიანო ბალესტეროსს საქმე კარგად ვერ მისდიოდა — ერთი შეჯიბრებაც ვერ მოეგო. ნავი მაისის დამდეგს გატყდა კორნუოლის საგრაფოში მდებარე სენტ-მელიონის გოლფ-კლუბში, სადაც სევამ „ბენსონ ენდ ჰეჯესის“ ტურნირში ოთხგზის ნორმაზე 7-ით უკეთესი შედეგით სამი დარტყმით აჯობა ინგლისელ ნიკ ფალდოს და ჯილდოდ 108 330 გირვანქა მიითვალა. ამ გამარჯვებით სევი ევროპელ მეგოლფეთა ასოციაციის ნამსახურობის ნუსხაში ისევ დაწინაურდა, რაც იმას მოასწავებდა, რომ თუ პირველ ადგილს ამერიკის ღია პირველობის დაწყებამდე შეინარჩუნებდა, იქ პერსონალურად მიიწვევდნენ, რითაც შესარჩევ ტურნირში თამაში ასცდებოდა.

ამასობაში გამოცხადდა, რომ ბალესტეროსს 1997 წლის „რაიდერის თასის“ — ევროპისა და ამერიკის მატჩის საორგანიზაციო კომიტეტი მიეტოვებინა. სევის მატჩის გამართვა ქალაქ კადისში მის მიერვე დაპროექტებულ ნოუვა-სანტა-პეტრის კლუბის გზაზე სურდა, კომიტეტის წევრთა უმეტესობა კი ემხრობოდა ვიბრალტარის მახლობლად გაშენებულ ვალდერამას გოლფ-კლუბს. როგორც გაირკვა, ვალდერამას ლობის სევისთვის ქრთამად მილიონი (!) დოლარი შეუძლია, მხარი დაგვიჭირეო, მაგრამ ბალესტეროსი ვაჟკაცურად მოქცეულა და ამ მაფიას გასცლია. არადა, 1983 წლიდან მოყოლებული, სევის მეცადინეობა არ დაუკლია საამისოდ, „რაიდერის თასი“ ესპანეთში რომ გატარებულიყო.

ვალში არც მაფიოზები დარჩენილან: უთქვამთ, სევი ერთადერთია და ცილისწამებისათვის სასამართლოში როგორ ვენიავლოთო. მერე ამერიკის ღია პირველობის ორგანიზატორებსაც უვაჟკაციათ: ბალესტეროსს ავტომატურად გამსვლელი ადგილი ველარ შეუნარჩუნებია, მაგრამ ამათაც გუთვალისწინებიათ ესპანელის განსაკუთრებულობა და შეჯიბრების დებულება დაურღვევიათ — ისეთი მეგოლფე დუშვიათ სასპარეზოდ, ვისაც წესითა და რიგით ესოდენი პატივი არ უნდა რგებოდა.

აშშ-ის ღია პირველობა წელს 94-ედ გიმართა. 16-20 ივნისს მას პიტსბურგის გარეუბანში გაშენებულმა ოუკმონტის კლუბმა უმასპინძლა. შეჯიბრება ფეხბურთელთა მსოფლიო პირველობის დაწყებას დაემთხვა და იგი საკმაოდ დაჩრდილა.

მსოფლიოს 159 მოწინავე პროფესიონალს ასპარეზობა პაპანაქებაში მოუწია. ისე აუტანელი სიცხეები დიფირა, რომ ახლო-მახლო სკოლებმა ბავშვები შინ გაუშვეს, აქაო და რა დროს სწავლაო. გაუჭირდათ მეგოლფეებსაც, მაგრამ რას გაწყობდნენ — აშშ-ის ღია პირველობის ბადალი სამად-სამი შეჯიბრი არსებობს. ჩვეულებრივ „დიდი სლემის“ მსგავსად ეს ოთხეული მიიჩნევა დიდ, მფავარ, ინგლისურად „მეიჯორ“ საგოლფო ტურნირებად.

ოუკმონტში წყლიანი დაბრკოლებები არსადაა. სამაგიეროდ ქვიშნარია ჭარბად. გზის სიგრძე 6946 იარდია, ნორმა — 71 დარტყმა. ოთხდღიანმა ასპარეზობამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. 72 ორმო ოთხგზის ნორმაზე (284) ოდენ 5-ით უკეთესი შედეგით (279) განვლეს მასპინძელმა ლორენ რობერტსმა, სამხრეთაფრიკელმა ერნი ელსმა და შოტლანდიელმა კოლინ მონტგომერიმ. სქოთი ორი წრის შემდეგ ორი დარტყმით უგებდა მდევრებს, რობერტსს კი ბოლო წრის ბოლო ორმოზე 120 სანტიმეტრიდან გაგორებული ბურთი რომ ჩაეგდო, გაიმარჯვებდა.

შეჯიბრების ისტორიაში მეათედ დაინიშნა გადათამაშება — „პლეი-ოფი“. ამერიკელი წესებით კონკურენტები სრულ გზაზე — 18 ორმოზე ეჯიბრებიან, მაგრამ ამის შემდეგაც თანაბარი შედეგები აღმოაჩნდათ რობერტსსა და ელსს — ნორმაზე 3-ით უარესი (!) 74. მონტგომერის სულ მთლად მოეცარა ხელი — სამი ორმაგი მაჯლაჯუნა შეემთხვა და 78 მოუგროვდა.

საქმე „უეცარი სიკვდილის“ პრინციპის ამოქმედებამდე მივიდა. 91-ე ორმოზე ორივე ნორმაში ჩავარდა, 92-ეზე კი თანფარდობა, როგორც იქნა, დაირღვა: სამხრეთაფრიკელმა იხევ იმყოფინა ნორმა (4 დარტყმა), ამერიკელმა კი მას ერთით გადააჭარბა, რის შედეგადაც ბოლო 13 წელიწადში პირველად გაიმარჯვა უცხოელმა — 24 წლის იოპანსბურგელმა გოლიათმა ერნი ელსმა, რომელმაც გარდამავალი თასის (ფოტოზე), ოქროს მედლისა და 320 ათასი ამერიკული დოლარის გარდა ამერიკისა და ბრიტანეთის ღია პირველობებში მონაწილეობა ათი წლით დაიბეგა.

წლის მესამე „მეიჯორი“ — ბრიტანეთის 123-ე ღია პირველობა 14-17 ივლისს მოეწყო დასავლეთ შოტლანდიაში, თენბრის გოლფ-კლუბში. ფეხბურთელთა მსოფლიო პირველობას ფინალის წყალობით მეტი გამოხმაურება მოყვა. სპორტსმენები ამჯერად ქარმა და წვიმამ შეაწუხა, მაგრამ შედეგთა ლიანგი ამერიკის ღია პირველობისაზე ბევრად უკეთესი იყო. შეჯიბრების ნახევარი მოიგო 44 წლის ამერიკელმა ვეტერანმა თომი ეოთსონმა, ვისაც 1987 წლის მერე ვერსად გაემარჯვა. მესამე წრის შემდეგ კიდევ ერთი ვეტერანი, 42 წლის ამერიკელი ფაზი ზელი გაიჭრა წინ, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჯეკლობამ გაჭრა და 12-ით უკეთესით გაიმარჯვა 37 წლის ზიმბაბველმა ნიკ პრაისმა, ვისაც ბრიტანეთის ღია პირველობაში აქამდე ორჯერ — 1982 და 1988 წლებში დაეკავებინა მეორე ადგილი. ამერიკელ ზიმბაბველს ერთი დარტყმით ჩაშორია ამერიკელი შვედი იუსპერ პარნევიკი.

წლის ბოლო „მეიჯორი“ — ამერიკის პროფესიონალთა ასოციაციის პირველობა აგვისტოში გაიმართება. შეიძლება ითქვას, რომ „მეიჯორების“ შარშანდელ გამარჯვებულთაგან ტიტული წელს ყველამ დაკარგა, რაკიღა ასოციაციის ჩემპიონი პოლ ეიზინგერი ,ბიბოს მუხუქ ფორმას მკურნალობს და ვერ ასპარეზობს.

„ქურციკების“ მწარედ იტლინკებიან

ქურციკები ახალ ზელანდიაში

(VII თამაში) ოთხ, 13.VII. ნიუ-პლიმუთი. **ტარანაკი 12 — სამხრეთის აფრიკა 16** (ლ, გ, ჰს, ა: №15 ვანრენსბერგი)

(VIII თამაში) შაბ, 16.VII. პამილტონი. **ვაიკატო 17 (10)** (2ლ,-) — **სამხრეთის აფრიკა 38 (21)** (5ლ სმოლი - 2, ფუნტერი, მულდერი, ალენ,-)

(IX თამაში) სამ, 19.VII. პამერსტონ-ნორთი. **მანავატუ 21 — სამხრეთის აფრიკა 47.** გააძევეს სტუმართა მეორეგანზელი გელდენჰეისი

(X თამაში) მეორე ტესტი. შაბ, 23.VII. ველინგტონი. **ახალი ზელანდია — სამხრეთის აფრიკა**

ბოლო, მესამე ტესტი — 6.VIII ოკლენდი

ქარრის თასი

2.VII: ნარინჯი 33 — ტრანსვაალი 16; ჩრდილოეთი ტრანსვაალი 22 — აღმოსავლეთი კონცხი 17

8.VII: აღმოსავლეთი კონცხი 22 — დასავლეთი კონცხი 15. 9.VII: ტრანსვაალი 57 (7ლ) — ჩრდილოეთი ტრანსვაალი 13; ნატალი 22 — ნარინჯი 30 (4ლ)

16.VII: ჩრდილოეთი ტრანსვაალი 23 — ნატალი 12; დასავლეთი კონცხი 16 (10) — ტრანსვაალი 24 (7)

ოთხი ტურის შემდეგ: ნარინჯი — 6 ქულა; ნატალი, ჩრდ. ტრანსვაალი, ტრანსვაალი და აღმ. კონცხი — 4-4; დას. კონცხი — 2

ახალ ზელანდიაში მოგზაურმა სამხრეთაფრიკელმა „ქურციკებმა“ პირველსა და მეორე ტესტებს შორის გამართული სამიგე პროვინციული თამაში მოიგეს, რის შედეგადაც ტურნეს შეაწყალი შთამბეჭდავი შედეგით — ცხრა მატჩიდან რვა გამარჯვებით განვლეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ტურისტთა თამაშს ახალი ზელანდიის პროვინციათაშორისი გარდამავალი ჯილდოს — „რანეერლის ფარის“ ამკავანდელ მფლობელ ვაიკატოსთან. მართალია, სტუმრებმა პირველი ნახევრის რვაწუთიან მონაკვეთში გატანილი სამი ლელოთი მეტოქე საბოლოოდ დათრგუნეს, მაგრამ გამარჯვება ვეირად დაუჯდათ — დაუშვდათ ოთხი (!) მორკინალი: ალანი, კეტლი, სტროილი და ოტო, რის გამოც შერკინების ფრთაზე სტროილის შემცვლელად სათადარიგო შერკინების ნახევარმცველი იუსტ ვანდერვესტჰაიზენი შევიდა. ტრავმირებული ოტო შინ გასაგზავნი შეიქნა, გარემარა ჯეიმზ სმოლს კი დისკვალიფიკაცია ელოდა, რაკიღა დერეფანში ამტყდარ მუშტი-კრივში ჩარია და მასპინძელთა გიგანტი მზტომელი გორდონი ნოკაუტში გაგზავნა. გორდონს ტვინის შერყევა კი დაუდგინეს, მაგრამ თამაშისშემდგომმა სადისციპლინო კომისიამ არც აცია, არც აცხელა და არამკითხე სამმეოთხედელი გაამართლა: მართალია ერთობ ტუტუცურად მოიქცა, მაგრამ კარგი ბიჭი ჩანს და მოდით ამჯერადაც ვაპატიოთ, მეორე ტესტი რომ არ გაუცდესო.

სმოლის მაგალითმა, ეტყობა, სხვებსაც გუხსნა ხელ-ფეხი: შემდეგ თამაშშივე ერთ-ერთი რაქის შემდეგ მეორეხაზელი გელდენჰეისიც გაძევეს. არადა, სულ ერთი კვირით ადრე „ქურციკთა“ მენეჯერმა ანი ენგელბრეხტმა დაიქადნა, ვინც მოედანზე იხელიგნებს, იმას გუნდიდან გვრიცხავო. მენეჯერმა თვით ქვეყნის რაგბის კავშირის პრეზიდენტს, დოქტორ ლეი ლეიტსაც მოუწოდა, ნაკრებში ნებრივი დაკვმყარებინე და პროვინციებსაც მიუთითე, თავ-თავიანთი ჩხუბისთავები რომ ალაგონო.

ამასობაში სამხრეთ აფრიკაში გაგანია „ქარრის თასის“ გათამაშებაა. დიდი ექვსეულის შეჯიბრში პირველი წრის ბოლომდე ერთი ტურიღა რჩება, მაგრამ ნაკრების წევრთა მოუცლელობის გამო ძაღლი პატრონს ვერა ცნობს. თასის შარშანდელმა მფლობელმა ტრანსვაალმა საწყისი ორი თამაში წაგო, მაგრამ მერე შინ გაანადგურა ჩრდილოეთი მეზობელი: „ოქროსფერმა ლომებმა“ ამ დღეს „ლურჯ ხარებს“ შვიდი ლელო გუტანეს, მომჯობინებულმა გვინ ჯონსონმა კი, ვისაც ფეხის ტრავმის გამო ზელანდიური ტურნე გაუცდა, დარტყმებით 29 ქულა მოაგროვა.

ოთხი თამაშიდან სამი მოგებით დაწინაურდა ნარინჯი, რომელმაც წელს ინგლისსაც კი მოუგო, მერე კი გაცხრილულ ნატალს სტუმრად აჯობა, როცა გადამწყვეტი ლელო თამაშის მიწურულს გაუტანა. ამ მარცხის შემდეგ ნატალმა მეორედაც წაგო. ამ თამაშში ჩრდილოეთი ტრანსვაალის შუამარბმა ანდრე სნაიმანმა ნატალის მთელი გუნდი მოატყუა და 60-მეტრიანი რეიდი ლელოთი დაგვირგვინა.

„ქურციკები“ თავ-თავიანთ პროვინციებს მეორე წრიდან დუბრუნდებიან, ხვალ კი ველინგტონში „ოლ ბლექსის“ წინააღმდეგ მეორე ტესტი ელით. სერიას მასპინძლები 1-0 იგებენ.

მსოფლიოს უპირველესი მელელოე, ავსტრალიელი „ვოლაბების“ გარემარბი დევიდ ქემფბი უკმაყოფილო ყოფილა: ორი კვირის წინ მისმა შტატმა — ახალმა სამხრეთმა უელსმა ტრადიციული მატჩი 20:22 რომ წაგო ძველისძველ მეტოქე ქვინსლენდთან, ქემფბიმ ბრძანა, „ავსტრალიური რაგბი ბოლო ორი წლის მანძილზე იმდენად უკუღმართად ვიოსრდება, რომ ფრთაზე ბურთი თითქმის აღარ მომდისო“. მელელოეს მიზეზი არ გუმხელია. იგი ისედაც ცხადია, ვინაიდან ცნობილი მოთამაშეები და მწვრთნელები ერთობ უკმაყოფილონი არიან 1992 წელს შემოღებული მოლისა და რაქის ახალი წესით, რომლითაც მარჭვედ სარგებლობენ მეტოქის მორკინალები და იმის ნაცლად, რომ მოლსა და რაქში ჩაბან, უკანა ხაზში გამწკრივდებიან, რითაც შუა და გარემარბებს გასაქანს არ აძლევენ. როგორც კრიტიკოსები აღწერენენ, თუ ეს წესი არ შეიცვალა, რაგბი მალე პროფესიული ლიგის რაგბის ულიმლამო ასლი გახდებაო.

ახალი ზელანდიის რაგბის „კავშირი ერთი პირობა დაეუბრა იაპონელ რაგბის მამებს, მაგრამ ამათ ახლა კანონი გამოუციათ, რომლის თანახმადაც ქვეყნის კლუბებს ორ-ორზე მეტი უცხოელის ყოლის უფლება აღარ ექნებათ. აქამდე იაპონიის გუნდებს, რომლებსაც ცნობილი კომპანიები პატრონობენ, შეუზღუდავად შეეძლოთ უცხოელთა გადაბერვა: ფირმები ვარსკვლავებს სარეიან სამუშაოზე აწყობდნენ, რითაც მოყვარულობის კანონებსაც იცავდნენ. იუწყებოდნენ, რომ შემოდგომიდან ხუთი „ოლბლექსელი“, მათ შორის კერვინიცა და ზინნან ბრუქიც იაპონიაში გადაბარგებას აპირებენო.

ზაალ გიგინეიშვილი

გამარჯვებული „თბილისი“

„თბილისის“ ვადამდელი გამარჯვებით დასრულდა დედაქალაქის გუნდების ახალი საზაფხულო შეჯიბრება — „მკათათვის სვატი“. სამშაბათს გუნდმა, რომელსაც „ჭორწყალტრანსოილი“ სპონსორობს, ვაკეში 12:8 დაამარცხა „ყოჩები“, როშელდთა მხარდამხარაც ჭეულის დაუკარგავად ლიდერობდა. გამარჯვებული „თბილისი“ „სვატის“ ბოლო თამაშში კვირას, 18 საათზე ვაკეში ეთამაშება „მერკურს“, ვისაც ჩემპიონატში 9:5 მოუგო.

აქეთური, იქითური

იაღლიში თურმე ნაცად დიდმოხელეებსაც მოსდით. დაუჯერებელი ამბავი გამეგონა ამ ორ დღეში, თორე რა იტყვით, 400 მეტრზე ოლიმპიურ-ტანდანი ჰარის, ვისთანაც მძღეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას (IAAF) კოკაინის ხმარებისათვის თავის დროზე 15-თვიანი დისკვალიფიკაცია მოუსჯია, წელს მაინც უასპარეზია „იაიეف-ის გრან პრის“ ხუთ შეჯიბრებაში. სპორტსმენი შენილბულა — ულვაში და შავი სათვალე გაუკეთებია, IAAF-ის ბედოვლათ ფუნქციონერებს კი იგი მაშინღა უცვნიათ, როცა დისკვალიფიკაციის გასრულებამდე ოთხი თვე რჩება. განრისხებულ ფედერაციას გახსენებია თავისივე ახალი კანონი, რომლის თანახმადაც თუ მძღეოსანი დისკვალიფიკაციის ვადის გასვლამდე ასპარეზებს, სასჯელის მოხდა თავიდან დაეკისრება. მარჯვედ უმართლებიათ თავი ამერიკის მძღეოსნობის მამებს — ჩვენი წესებით კოკაინი დოპინგად არ მიიჩნევა, ამიტომ დავრთეთ ჰარისს ასპარეზობის ნება; თანაც ათლეტმა სამთვიანი სარეაბილიტაციო კურსი გაიარაო. ჰარისი იმით ყოფილა ცნობილი, რომ 1987 წელს დაუმარცხებია ედვინ მოზესი, ვისაც მანამდე 120-ზე მეტჯერ ზედიზედ ასპარეზა წაუგებლად.

*

აშშ-ის ფეხბურთელთა ნაკრების მეკარემ, 25 წლის ტონი მეოლამ მაიკლ ჭორდანს მიბაძა და ბედს ახალ სარბიელზე ცდის. მან ხელი მოაწერა კონტრაქტს ამერიკული ბურთაობის ეროვნული ლიგის კლუბ „ნიუ-იორკ ჭეთსთან“, რომლის თანახმადაც ახალ სეზონში, სექტემბრიდან, ამ გუნდის კარში დამრტყმელად იმუშავებს. მეოლას არც ბურთით ჭიქურ სირბილი მოუწევს და არც მეტოქეთა შებოჭვა-ბლოკირება: მისი საქმე ოდენ ისაა, რომ როცა ბურთი კარში დასარტყმელი გახდება, პაუზის დროს მოედანზე გაბრძანდეს და თანაგუნდელების მიერ მის ფერხთით ნაუცბათევად დადებულ ბურთს ისე ამოჭკრას, ფეხბურთელობისას კარიდან დარტყმის დროს რომ სჩადიოდა.

*

დღეისთვის დაინიშნა 43 წლის ვესტინდოელი კრიკეტის ვარსკვლავის ვივ რიჩარდსის კონტრაქტის ხელმოწერა სამხრეთი აფრიკის დასავლეთ კონცხთან. რიჩარდსი შარშან ეამოეთხოვა საშეჯიბრო კრიკეტს, მაგრამ ახლა, ეტყობა, ნელსონ მანდელას გაპრეზიდენტებამ ისე გაახარა, რომ სიბერე გადაავიწყა და კეიპტაუნელთა სახელით ჭარრი-კასსელის თასზე ოქტომბრიდან ერთი სეზონით თამაშს დააყაბულა. ამისთვის რიჩარდსი 300 ათას რანდს მიიღებს. არადა აპარტჰეიდის მძვინვარების დროს ამ ქვეყანას მეკობრეთა შემადგენლობაში რომ სწვეოდა, სამ მილიონს სთავაზობდნენ, მაგრამ ანტიგუელ ზანგს დაუფიცებია, ვიდრე სამხრეთ აფრიკაში ჭეშმარიტი დემოკრატია არ დამყარდება, მის მიწაზე ფეხსაც არ დავდგამო. მართლაც, შარშან რიჩარდსი გლემორგანის (უელსი) საგრაფოს გუნდში ირიცხებოდა, მაგრამ თანაგუნდელებს სამხრეთ აფრიკაში არ გაჰყვა, აქაოდა გარდაქმნების მიუხედავად იქ კვლავ რასისტები მბრძანებლობენო. ახლა, როგორც ირკვევა, ვარსკვლავს, ვისაც 121 ტესტში უთამაშია და 8500-ზე მეტი გარბენი მოუგროვებია, აკმაყოფილებს ზანგთა და თეთრთა ურთიერთშემწყნარებლობა და ძალაუფლების განაწილების ფორმა. რიჩარდსი, სხვათა შორის, კეიპტაუნში ანტიგუას ტურისტული საგენტოს რწმუნებულადაც იღვაწებს.

*

ავსტრალიას, ვისაც ათასწლეულთა შესაყარზე ერთიან ქვეყნად არსებობის საუკუნოვანი იუბილე უსრულდება, მანც შინაშლილობა ღრღნის. 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველთა კონკურსში სიდნეის გამარჯვებამ, ეტყობა, შურით აღავსო მელბურნი. ჰოდა, ვიქტორიელმა სპორტის მამებმაც წინა კვირაში საჯაროდ დასდეს ბრალი არამათუტატელ ავსტრალიელებს, 1996 წლის კონკურსში ატლანტასთან იმიტომ დავმარცხდით, ჩვენიანებმა რომ გაგვყიდეს და კონკურენტებს ჩვენი განაცხადის სუსტ ადგილებზე მოუთითესო.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკევობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: ბია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეკველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)